# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 20 ოქტომბერი 2001 №201 (1474) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოპა! ესეც ევროპა!

## რაც ვერ შეძლეს კაცებმა, შეძლეს ყმაწვილ-კაცებმა



კობა ჟორჟიკაშვილი ჰაერში, ქართველი 17-წლამდელები ევროპაში. საქართველო – ისრაელის გუშინდელი მატჩის რეპორტაჟი იხილეთ მესამე გვერდზე

# წრეგადასულნი

## ქულებს ფულივით თვლა უყვარს



„ლოკომოტივს“ და „ტორპედოს“ ძველი ანგარიშებიც გასასწორებელი აქვთ.
წინა სეზონში ქუთაისელებმა თბილისელებს არც ჩემპიონობა დაანებეს და არც თასი

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

# 12 ტური

20 ოქტომბერი, შაბათი

სიონი
დინამო

მერანი
გურია

21 ოქტომბერი, კვირა

ლოკომოტივი
ტორპედო

ვიტ ჯორჯია
გორდა

სამგურალი
კოლხეთი

მეტალურგი
ბათუმი

მეთორმეტე ტურის ანონსი
იხილეთ მეოთხე გვერდზე

# ინყება!

## კალათბურთი ქუთაისით გვიბრუნდება

საქართველოს 101 ჩემპიონატი

დღეს ქართული საკლუბო კალათბურთი დაგვიანებით და ტრადიციულად აბურდული განრიგით მეთერთმეტედ შეუდგება ეროვნული ჩემპიონატის ალმართს, რომლის ბოლოც გაზაფხულზელა გამოჩნდება.

ჩემპიონატში შარშანდლის დარად ცხრა გუნდი მონაწილეობს, ოღონდ დაშლილ-გამქრალი შვიდგზის ჩემპიონი „ვითა“ ალორძინებულმა და ეროვნულ პირველობას ოთხი წლის შემდეგ დაბრუნებულმა „ქუთაისმა“ ჩაანაცვლა. ქუთათურთა ხელახალი დებიუტი ხვალ, შარშანდელი სეზონის ყველაზე სკანდალური გუნდის, რუსთავის „აზოტის“ წინააღმდეგ შედგება.

დღეს კი ვერის ბაღში ორი მატჩია: გაძლიერებული და ამბიციამოძალებული თსუ და „დინამო“ შესაბამისად სსუ-ს და „შევარდენს“ დაუპირისპირდებიან.

იხილეთ მეათე გვერდი

# უეფამ დიდიან-პატარიანად აურია



გერჰარდ აიგნერი (მარცხნივ) და ფათიჰ თერიმი: ჩვენ ვზრუნავთ ფეხბურთზე

**პრაღაში** შეკრებილი უეფას თავკაცობა და ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ფეხბურთის ხელმძღვანელები ევროპულ ფეხბურთს სიახლეს სთავაზობენ. ბებერი კონტინენტის საფეხბურთო სარბიელს შესაძლოა, ახალი ფორმატისა და სრულიად განსხვავებული სტილის სანაკრებო ტურნირი შეემატოს. წამოწყების არსი ევროპაში ფეხბურთის განვითარებაა, გვარწმუნებს უეფას ხელმძღვანელობა. მათი პროექტით ახალ ტურნირში მონაწილეობის უფლება ევროპული საფეხბურთო ოჯახის ყველა წევრს ექნება. ამ საკითხზე პრაღაში შეკრებილთა შორის ერთსულოვნებაა, აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ ახალი პროექტის ფორმატისა და თამაშების რაოდენობის გამო გამოითქვა.

პირველი და ყველაზე რეალური პროექტი უეფას წევრ ორმოცდათერთმეტივე ქვეყნის ნაკრებებს რამდენიმე ეტაპად თამაშს უგეგმავს. თავდაპირველად გათამაშება ელიტარული რვა გუნდის გარეშე დაიწყება. საშუალო და მდარე ხარისხის ევროპელები კენჭისყრით დაჯგუფდებიან და საუკეთესოები შემდგომ ეტაპზე გავლენ.

თავის მხრივ, ბობოლები პატარა ძმებთან გაჯიბრებამდე ერთურთის ძალებს მოსინჯავენ. ორი ოთხგუნდიანი ჯგუფიდან ასპარეზობას პირველ-მეორე ადგილის მომპოვებლები გააგრძელებენ. გრანდების ჭიდილი ტურნირის მეორე წელს შედგება (სულ ახალი შეჯიბრი სამ წელიწადში ერთხელ გაიმართება). პირველ წელს, როგორც ზემოთ ვთქვით, წვრილფეხობა გაარკვევს თავის რვა საუკეთესოს, საპლეიოფო ეტაპზე კი ძლიერთა ოთხეული და პატარების რვა გუნდიდან ასევე ოთხი საუკეთესო შეეცილება ერთმანეთს ჯერ სახელდაურქმეველი ტურნირის ჩემპიონობას. მთელი ეს ორომტრიალი როგორც ვთქვით, სამ წელიწადს გასტანს და სავარაუდოდ 2004 წლიდან უნდა დაიწყოს.

მეორე ვარიანტი გუნდების რეიტინგის მიხედვით დაჯგუფებას ითვალისწინებს. სამი წლის განმავლობაში დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობების ნაკრებები ერთმანეთში ითამაშებენ, ოღონდ A და B დონეებზე, აღზევება-დაქვეითების პერსპექტივით. A დონის მაჩანჩალანი B დონეზე ჩაინაცვლებენ, ხოლო წარმატებულ პატარებს ბობოლებთან ერთად თამაშის პატივი ერგებათ.

სულ ბოლო შემოთავაზება კი შემდეგნაირია: გუნდები თითომატჩიან საკვალიფიკაციო თამაშების სერიის შემდეგ საპლეიოფო ეტაპზე ჩაებმებიან.

აქ, რაღა თქმა უნდა, გრანდებს ადგილი დაჯავშნული აქვთ. დასკვნითმა საფინალო ფაზამ კი შესაძლოა, საკვალიფიკაციოს მსგავსად თითომატჩიან დაპირისპირებებში გამოავლინოს ის ორი გუნდი, რომლებიც ერთურთს პირველობას შეეცილება. თუმცა ამ ვარიანტის მომხრეებს საფინალო ეტაპზე ჯგუფური ეტაპის საწინააღმდეგოც არაფერი აქვთ.

უეფა სამივე პროექტს, ალბათ, უახლოეს მომავალში განიხილავს. მათგან რომელი იმარჯვებს, ან სიახლე საერთოდ განხორციელდება თუ არა, წინასწარ ძნელი სათქმელია. თუმცა ახალ წამოწყებას, თუ უეფას აღმასრულებელ დირექტორ გერჰარდ აიგნერს ვენდობით, წინ არაფერი უდგას: „ახალი ტურნირი სამწლიანი იქნება და სავარაუდოდ 2004 წელს დაიწყება. ჯერჯერობით გათამაშების ფორმატი და თამაშების რაოდენობის საკითხი დასახვეწია. მიუხედავად ამისა, გეტყვით, რომ იდეა ძალიან აქტუალურია. სიახლე ხელს შეუწყობს ევროპული ფეხბურთის შემდგომ განვითარებას, განსაკუთრებით მცირე საფეხბურთო ტრადიციებისა და გამოცდილების მქონე ქვეყნებში. უეფას ახალი გეგმა ფაქტობრივად, ამხანაგური თამაშებისთვის მეტი დატვირთვის მინიჭებას გულისხმობს.“

**გიორგი გამარდაშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ტუნისის** ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელად ესპანეთის ეროვნული გუნდის ყოფილი თავკაცი ხავიერ კლემენტე მიიწვია. ფედერაციის გენერალურ მდივან გუბაკერ ბენ ჯერადის განცხადებით, ისინი უკვე დაუკავშირდნენ კლემენტეს აგენტს. მან წლის ბოლომდე უნდა გადაწყვიტოს, მიიღებს თუ არა ამ წინადადებას. იანვარში აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშება იმართება, ასე რომ, თუ კლემენტე ტუნისის ნაკრებს ჩაიბარებს, მისი პირველი დიდი ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის კარგ რეპეტიციადაც გამოდგება. აქვე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მწვრთნელების მოთხოვნით, ნაკრების მეორე მწვრთნელი აუცილებლად ტუნისელი იქნება.

**ფრანგულმა „ტრუამ“ თავდამსხმელი ფარიდ გაზი გაუშვა და ისიც, ალბათ, ყატარის ერთ-ერთი კლუბის მაისურას მოირგებს. თავდამსხმელს „ტრუასთან“ 2003 წლამდე ჰქონდა კონტრაქტი, თუმცა ბოლო ინციდენტმა, როდესაც გაზი სამი კვირის მანძილზე არ გამოჩენილა კლუბის ვარჯიშზე, საბოლოოდ გადაწყვიტა მისი ბედი.**

**ინგლისური** „ვესტ ჰემის“ სათადარიგო მეკარეს, 34 წლის კანადელ გრეიგ ფორესტს სიმსივნე აღმოაჩნდა. ეს დიაგნოზი კლუბის ექიმმა ვეს სტეინბერგმაც დაადასტურა, თუმცა, მისივე თქმით, სიმსივნე კეთილთვისებიანია, რაც ფეხბურთელის განკურნების შანსს ზრდის. „ვესტ ჰემის“ გულშემატკივრები კლუბის ვებსაიტზე თანადგომას უცხადებენ ფორესტს.

**ესპანეთის 1996 წლის ჩემპიონის, ამჟამად მეორე დივიზიონელი მადრიდის „ატლეტიკოს“ არენაზე მალე სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდება, რომლის ღირებულებაც ერთი მილიარდი პესეტაა (5 მილიონი დოლარი). სარეკონსტრუქციო სამუშაოები 2003 წელს დამთავრდება. ახალი „ვისენტე კალდერონი“ 70 000 მაყურებელს დაიტევს, 13 500-ით მეტს ვიდრე ახლა.**

**ავსტრიის** საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა „რაპიდისა“ და „ზალცბურგის“ მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი. საქმე ეხება ვენის „რაპიდის“ მწვრთნელს, წარსულში სახელგანთქმულ ფეხბურთელს ლოთარ მათეუსს, რომელიც მატჩის დროს რამდენჯერმე შეიჭრა მოედანზე და საბოლოოდ არბიტრმა გვერდით მსაჯთან საქმის გარჩევისთვის ტრიბუნაზე მიაბრძანა. „ზალცბურგმა“ ეს არ იკმარა და მათეუსი რასიზმშიც დაადანაშაულა. ზალცბურგელთა თქმით, მოედანზე შევარდნილმა ლოთარმა კლუბის ჰონდურასელ ლეგიონერს შავი ღორი უწოდა. საბოლოოდ მათეუსს რასიზმში ბრალდება არ დაუმტკიცდა, უდისციპლინობისთვის კი 30 000 შილინგით (4 300 მარკა) დაჯარიმდა.

**ინგლისურმა „ასტონ ვილამ“ ახალი კონტრაქტი გააფორმა ლი ჰენდრისთან. შეთანხმება 2006 წლამდეა. „ვილას“ მთავარი მწვრთნელის ჯონ გრეგორის თქმით, ის მოხარულია ჰენდრის გადაწყვეტილებით: „ჰენდრიმ დამირეკა და მითხრა კონტრაქტის ხელმოწერის შესახებ. ძალიან მიხარია, ეხლა ის უკვე 100 პროცენტით შეძლებს თამაშზე კონცენტრირებას. ამჟამად ჰენდრი ბრწყინვალე ფორმაშია და უბრალოდ ვალდებულია ადგილი დაიჯავშნოს ინგლისის ნაკრებში სამსოფლიოჩემპიონატოდ“.**

**არგენტინული** „რივერ პლეიტის“ ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი ანდრეს დალესანდრო მალე შესაძლოა, კატალონიურ „ბარსელონაში“ აღმოჩნდეს. დალესანდროს აგენტი უკვე ესპანეთშია და მისი განცხადებით, მომავალი ტრანსფერი დაახლოებით 12-მილიონდოლარიანი იქნება. საერთოდ, „რივერ პლეიტი“ ცნობილია თავისი ტალანტებით. ეს პაბლო აიმარისა და ხავიერ სავიოლას ყოფილი კლუბია.

**ესპანეთის მეორე დივიზიონის „ბადახოსის“ მთავარი მწვრთნელი პორტუგალიელი კარლოს ალპინუ გახდა. ანგოლას ნაკრების ყოფილი თავკაცის „ბადახოსში“ გადასვლას წინ უძღოდა პორტუგალიელი ბიზნესმენის, ანტონიო ბარადას მიერ კლუბის აქციათა 99 პროცენტის შეძენა. პირველი, რაც ახალმა მეპატრონემ გააკეთა, ის იყო, რომ ყოფილი მწვრთნელი ხუან დიასი ალპინოთი შეცვალა. „ბადახოსს“ ახლა 9 მატჩიდან ერთი მოგება და 5 ქულა აქვს და სეგუნდა დივიზიონში ბოლოდან მეორეა.**

# ტეიშეირას სინდისი შავი ყუთის ფერია



პელე, ჟოაო ავულანჟი და რიკარდო ტეიშეირა

**ბრაზილიური** ფეხბურთის გასაჭირი კარგად უწყიან ამ ქვეყნის საკლუბო თუ სანაკრებო გუნდების ქომაგებმა. ერთ დროს ამაყ ტორსიდას და ტეტრაკამპეონთა არაბრაზილიელ ხმაურიან და ამბიციურ გულშემატკივრებს კარგა ხანია, პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. სათქმელი, სატრაბახო ბევრია, მაგრამ ეს უკვე წარსულია. დღეს კი ფეხბურთის მეფის სამშობლოში არაფერი საამაყო და მსოფლიოში საპირველო არ ხდება. ალბათ, დამთავრდა მუდმივი ფავორიტის დრო. ეს ბევრმა შესანიშნავად იცის, მაგრამ ძველი ინერციის, თუ ეშმაკმა უწყის, რის გამო ამის არ სჯერათ და დიდად გაკვირვებულნიც არიან. ქვეყნის ფეხბურთის თავკაცობას კი ეს ამბავი ძლიერ აშფოთებს და გრანდიოზულ კრიმინალისტურ გამოძიებასაც აწარმოებს.

ეს პროცესი უკვე დიდი ხანია, რაც დაიწყო და დასასრულიც — ბრაზილიური ფეხბურთის გადარჩენის გზა — ალბათ, მალე გამოჩნდება, თუ, რა თქმა უნდა, ამას ხელს ერთი ფრიად საჩოთირო და საშიში რამ არ შეუშლის.

ძალიან რომ არ დავიბნეთ, ბრაზილიური ფეხბურთის სამკურნალოდ გამწესებულ გამოძიების ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ალვარო დიასს მოვუსმინოთ: „ჩვენ უკვე გავხსენით ბრაზილიური ფეხბურთის „შავი ყუთი“, რომელმაც პასუხი გაგვცა კითხვაზე — რითაა ავად ბრაზილიური ფეხბურთი“. ტაშის ღირსია ალვარო დიასი და მისი ამალა, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ სხვა სხვაგვარად ფიქრობს. იმ სხვამ, ქვეყნის კონგრესის ავტორიტეტიც კი არად ჩააგდო, მთავრობის მიერ ორგანიზებული გამოძიების ოფისშიც დარეკა. დარეკა მუქარის ტონით, ბილწი და უშვერი სიტყვებით. ბრაზილიური ფეხბურთის ახალი გზების მაძიებელთ დასახიჩრებას, სიკვდილსა და ათას საშინელებას შეჰპირდა, თუ ისინი კვლავ შეაწუხებდნენ რიკარდო ტეიშეირას და მის მაგვარ პატვცემულ გვამებს.

შეგახსენებთ, რომ რიკარდო ტეიშეირა, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი და ფიფას ყოფილი პრეზიდენტის ჟოაო აველანჟის ყოფილი სიძე, საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგას. პრეზიდენტს რომ ყველაზე მეტად მოეთხოვება პასუხი, ეს ცხადია, ჰოდა, საგანგებო კომისიის წევრები სწორედ ტეიშეირას საქმიანობას, განსაკუთრებით კი მის საბანკო ანგარიშებს ჩაჰკირკიტებენ. საფიქრელია, რომ „შავ ყუთში“ ყველაზე შავი სწორედ რიკარდო ტეიშეირაა. მასაც რაღა დარჩენია, იმუქრება, ხელი არ მახლოთო, თორემ...

**გიორგი გამარდაშვილი**

# საჩიფათო კავშირები არაევროკავშირელებთან



დენის სერბანი

**წინა კვირაში** ესპანეთის სამეფო თასის გათამაშების პირველი ეტაპი გაიმართა. ადრეულ სტადიაზე, როცა მონაწილეთა უმრავლესობას მესამე და მეოთხე დივიზიონების გუნდები წარმოადგენენ, სალაპარაკოც ბევრი არაფერია, თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა.

„ვალენსია“ სტუმრად შეხვდა „ნოველდას“, მესამე დივიზიონის გუნდს და 46-ე წუთზე რუფეტეს ერთადერთი გოლით დაამარცხა, მაგრამ...

„ვალენსიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კანისარესი, კურო ტორესი, პელეგრინო, ჯუკიჩი, კარბონი, რუფეტე, მარკენა, დე ლოს სანტოსი, ვისენტე, სალვა ბალესტა, კარეუ.

რაფაელ ბენიტესის ამ სასტარტო შემადგენლობაში ერთადერთი არაევროკავშირელია — იუგოსლავიელი მიროსლავ ჯუკიჩი. მერე სალვა ბალესტას მაგიერ მწვრთნელმა მეორე არაევროკავშირელი, არგენტინელი პაბლო აიმარი შეიყვანა, ხოლო დე ლოს სანტოსი მესამე არაევროკავშირელით, ასევე არგენტინელი რობერტო ფაბიან აიალათი შეცვალა. სამი არაევროკავშირელი კი, მოგეხსენებათ, ის მაქსიმუმია, რამდენის ერთდროულად მინდორზე ყოლის უფლებაც გუნდს აქვს. მაგრამ ბენიტესმა 90-ე წუთზე ვისენტეს ნაცვლად რუმინელი დენის სერბანი შეუშვა, რითაც ლიმიტი დაარღვია.

თითქოს რა არის ერთი წუთით ოთხი არაევროკავშირელის ყოლა, მაგრამ დასავლეთ ევროპაში კანონებს პატივს სცემენ და ფეხბურთის ფედერაციამ „ვალენსია“ სამეფო თასიდან მოკვეთა. ფედერაციამ ამგვარი გადაწყვეტილება სამშაბათს მიიღო და ვალენსიელებმა ის უმალ გააპროტესტეს. კლუბის პრეზიდენტმა ხაიმე ორტიმ თქვა: „ფედერაციის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა, თუმცა იმედი გვაქვს, რომ სასჯელს შეგვიმსუბუქებენ და ჯარიმას გვაკმარებენ“.

ჯარიმა, რომელიც ფედერაციამ „ვალენსიას“ დააკისრა, ნახევარ მილიონ პესეტას (2 700 დოლარს) შეადგენს, ხოლო თუ გადაწყვეტილება ძალაში დარჩა, „ვალენსია“ პრიმერადივიზიონის მეექვსე გუნდი იქნება, თასის გათამაშებას პირველი ეტაპიდან რომ გამოეთიშა. დანარჩენი ხუთია: „ესპანიოლი“, „რეალ სოსიედადი“, „სარაგოსა“, „რეალ ბეტისი“ და „სევილია“.

**გიორგი დარჯანია**

# გაიერმა მეძავები შეურაცხყო: ფეხბურთელებს შეადარა




აბა, ედუარდ გაიერის ფეხბურთელებს ასეთი ფეხები აქვთ?

**დაკვირვებული** კაცი ყოფილა „კოტბუსის“ მწვრთნელი ედუარდ გაიერი. თანამედროვე ფეხბურთში მიმდინარე ტენდენციებს უყურა და უპრეცედენტო დასკვნაც გამოაცხო. მან ფეხბურთსა და პროსტიტუციას შორის გამონახა საერთო. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ახალგაზრდა მოთამაშეები ამ უძველესი პროფესიის მუშაკებს შეადარა.

აი, რა ბრძანა ბატონმა ედუარდმა: „თუ კარგად დააკვირდებით, ზოგიერთი ფეხბურთელისა და რიგითი კახპის დღის რეჟიმში მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის. თავად განსაჯეთ, სპორტსმენები მეძავეების მსგავსად ეწევიან, სვამენ, თამაშის წინა ღამეს კი გამთენიისას იძინებენ, რაკი მთელი ღამე სექსით იყვნენ დაკავებულნი. ახლა გეკითხებით, დიდი სხვაობაა მეძავეთა ყოფაქცევისგან?“

მწვრთნელის ამ რევოლუციურ აზრს მწვავე კრიტიკით გამოეხმაურნენ როგორც საფეხბურთო, ისე მეძავთა წრეებიდან. ჯერ ედუარდის იდეას აბსურდული უწოდა „შტუტგარტის“ წარმომადგენელმა როლფ რუსმანმა, მას „ვერდერის“ და გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე ტიმ ბოროვსკიც დაეთანხმა და გაიერის აზრს სულელური უწოდა.

ჰო, დაგვავიწყდა, რომ „კოტბუსის“ მწვრთნელმა რატომღაც ზანკტპაულელ მეძავეებზე გააკეთა მინიშნება, რაზეც სექსუალურ ინდუსტრიაში ჩაბმულმა ზანკტპაულელმა ქალებმა აღშფოთება ვერ დამალეს — ჩვენ, უძველესი პროფესიის მუშაკები, ვიღაც ფეხბურთელებს როგორ შეგვადარეთო.

35 წლის გამოცდილი მეძავი ჯინა კოლეგათა საერთო აზრის დასაფიქსირებლად ცნობილ გამოცემა „ბილდის“ რედაქციაშიც კი მიიჭრა და თქვა — ჩვენი სამუშაო უფრო ძნელია, ვიდრე ფეხბურთელებისო.

დამწყებმა მეძავმა, 21 წლის ვანესამ საზოგადოებას უფრო თვალსაჩინოდ აუხსნა მეძავური ცხოვრების სირთულენი. მისი განმარტებით, აი, როგორ ცხოვრობენ კახპები: დღე-ღამის განმავლობაში 12-14 საათი უწევთ მუშაობა და ხანდახან ისე გამოდის, რომ ორი კვირის განმავლობაშიც ვერ ისვენებენ. ამის გამგონე რამდენი იფიქრებდა, არა ძმაო, ასეთ ცხოვრებაზე იოლი მართლა ყოფილა კვირაში ერთხელ 90 წუთი ბურთის გორება და თუგინდ რამდენიმესაათიანი მომქანცველი ვარჯიშიო.

**ნიკა შუბლაძე**

# მარადონამ მსოფლიო კოკისპირულად აცინა
## საოპერაციოდ მაინცდამაინც კოლუმბიაში ჩავიდა

**ვთქვათ,** ასეთი ამოცანა დაგისახეს, ფეხბურთი და კოკაინი ლოგიკურად ერთი სიტყვით დაუკავშირეთ ერთმანეთსო. ვისი სახელი გაგახსენდებათ პირველად? თუ კრისტოფ დაუმზე იფიქრეთ, ბოდიშის მოხდით გეტყვით, რომ შეცდით. აქ გერმანელი მწვრთნელი არ იგულისხმება, თუნდაც იმიტომ, რომ გამოსაცნობ პიროვნებას გაცილებით დიდი სახელი აქვს ფეხბურთში, ვიდრე დაუმს. თუ მიხვდით, კარგია. ჰოდა, ეს პიროვნება ახლახან ჰავანიდან კოლუმბიაში ჩავიდა. მოდით, ისიც განვმარტოთ, რომ საზოგადოდ კოკაინის მოყვარულები კოლუმბიაზე უკეთეს ადგილს ვერ ინატრებენ, რადგან ქვეყანას თეთრი ფხვნილის წარმოებითა და იქაური ნარკობარონებით აქვს სახელი განთქმული.

აქ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ ერთი რამ. ჩაფიქრებულმა პიროვნებამ კუბაზე იმიტომ გაატარა წელიწადნახევარი, რომ კოკაინის ყნოსვის მავნე ჩვევისგან განკურნებულიყო. როგორც მასთან დაახლოებული პირები ირწმუნებიან, ძველებურად აღარც ეტანება თეთრ ფხვნილს. მაშინ ისიც ვთქვათ, რატომ ჩავიდა ეს დიდი სახელის კაცი კოლუმბიაში. მას იქ მუხლის ოპერაცია გაუკეთეს, რათა 10 ნოემბერს მისსავე გამოსათხოვარ მატჩში ითამაშოს.

„ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. პაციენტი იმ თამაშში მონაწილეობას შეძლებს“ — განაცხადა კალის კლინიკის ექიმმა. იმასაც იუწყებიან, რომ პაციენტმა ბოლო რამდენიმე კვირაში 16 კილოგრამი დაიკლო. ეს ყოველდღიური 3-4 საათიანი ვარჯიშის შედეგია.




მარადონას ფანები: პელე შენთან რას მოვა!

ახლა თავად პაციენტს მოვუსმინოთ: „10 ნოემბერს აუცილებლად ვითამაშებ. გულით მსურს, კლაუდია გავახარო (მეუღლეა მისი), ჩემი შვილები და გილერმო კოპოლა (უახლოესი მეგობარი და მენეჯერი), ასევე ის ურიცხვი ფანები, რომლებიც ჩემს მინდორზე გასვლას ელიან“.

რახან ფანები ვახსენეთ, ვთქვათ, რომ სანამ პაციენტი საოპერაციო მაგიდაზე იწვა, კალის კლინიკასთან ბლომად ხალხმა მოიყარა თავი. ძირითადად ამ ქალაქის მკვიდრები იყვნენ. ხელში ტრანსპარანტები ეჭირათ, სადაც ასეთ სიტყვებს ამოიკითხავდით: „მსოფლიოს შენ უყვარხარ. რა პელე, რის პელე, შენ ხარ პირველი“.

დაბოლოს, შენიშნავდით, რომ ვისზეც ამდენი ვწერეთ, მისი სახელი არ გვიხსენებია. ამის მიხვედრა პირველივე აბზაციდან შეიძლებოდა, ხოლო ვინც მაინც ვერ გამოიცნო, იმათთვის: ლაპარაკი მარადონაზეა.

**ნიკა შუბლაძე**

# ბექემის ოჯახში შავი შევიდა



ჯოან ბექემი

**წინა უქმეებზე** „ვესტ ჰემმა“ გულშემატკივრები იმით გააოცა, რომ „ბლექბერნთან“ 1:7 წააგო. ლონდონური კლუბი ამჯერადაც ყურადღების ცენტრში მოექცა, ოღონდ სულ სხვა მიზეზით. ჯერმენ დეფო, 18 წლის ბიჭი, ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და „ვესტ ჰემში“ თამაშობს. დეფოს ძალიან დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, თანაც 10 მილიონ გირვანქადაც შეაფასეს.

მის ასაკში კაცს რომ სიყვარული ეწვიოს, რა გასაკვირია, უსიყვარულოდ ხომ... ჰოდა, 18 წლის ვაჟკაცს ერთი თანატოლი შეყვარებია. არ ვიცი, „ვეფხისტყაოსანი“ წაიკითხეს თუ თვითონ მიხვდნენ, წყვილი ამ ამბავს საგულდაგულოდ მალავდა, მაგრამ საქმე მაინც „გასკდა“. აბა, დევიდ ბექემის უმცროსი დის — ჯოანის სასიყვარულო ამბავი დაიმალებოდა? როგორც ერთი ლათინური ანდაზა ღაღადებს, არაფერი გაგიკვირდეს. ჯერმენ დეფოს რჩეული დევიდ ბექემის 18 წლის დაიკოა.

გოგონა ირწმუნება, რომ ყველაფერი ჩინებულადაა და ისინი ერთმანეთს შესანიშნავად უგებენ.

პოტენციური ცოლისძმის ოფიციალური პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია.

ბექემის სასიძო მთლად უბრალო კაცი არაა. დეფოს ერთი რეკორდიც ეკუთვნის. როცა იგი საფეხბურთო კლუბ „ბორნმუთში“ თამაშობდა, ათ მატჩში 12 გოლი გაუტანია, თანაც ამჟამად კონტრაქტი აკავშირებს სპორტული საქონლის მწარმოებელ კომპანია „უმბროსთან“.

წყვილი ამჟამად ჩინგფორდში, ესექსის საგრაფოში ცხოვრობს და თავს შესანიშნავად გრძნობს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჯოანი ხელს ბობოლა ძმის ჯიბეში აფათურებს, ძალიან ცდება. იგი ერთ-ერთ სალონში სტილისტად მუშაობს. დეფო ამტკიცებს, ღმერთი, რჯული, როცა გავიცანი, ნაღდად არ ვიცოდი, იმ ბიჭის და თუ იყოო. ვინ იცის, გულწრფელია თუ არა სასიძო, რას გაუგებ ამ ხალხს...

**გაჭა ხუციშვილი**



ჯერმენ დეფო

გიო ახვლედიანის

## კარგი, ცუდი, ავი

ფაბიენ ბარტეზმა, როგორც იქნა, წაიმტვრია ცხვირი. „მანჩესტერ“ — „დეპორტივოს“ მატჩში მისმა მორიგმა გამოვარდნამ საჯარიმოს გარეთ და უბრალო, მისთვის ჩვეული ფინტით დიეგო ტრისტანის გაბითურების მცდელობა მის კარში გატანილი გოლით დასრულდა. ეს ოდესმე მოხდებოდა და საერთოდ, რაც უფრო ხშირად მოხდება, მით უკეთესი. ამით, „მანჩესტერ იუნაიტედის“, როგორც მომავალი „ჰარლემ გლობ ტროტერსის“ მაყურებელთა საერთო რაოდენობა დედამიწაზე კიდევ უფრო გაიზრდება.

ერთი, თუ გახსოვთ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, ჩემპიონთა თასის მფლობელ ფაბიენ ბარტეზს საფრანგეთის ნაკრებში გადაეწყვიტოს შეტევების მთავარ ჩამშლელად, ან წამომწყებად მუშაობა?

ვერ გაიხსენებთ ასეთ რამეს და არც არის საჭირო.

ამასობაში კი, გირჩევთ: თუ მაინცდამაინც „მანჩესტერის“ თამაშის ცქერით ტკბობა გსურთ, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებს ნუ მიაცივდებით. უმჯობესია, შაბათ-კვირას ჩაუჯდეთ პრემიერლიგას (თუ „იესპიენის“ ჩართვა გვეღირსა, რა თქმა უნდა). პრემიერლიგის თამაშებში „მანჩესტერის“ მეორე შემადგენლობა თამაშობს, რომელიც, გარკვეულწილად, პირველი შემადგენლობა იყო ერთ დროს. სწორედ ის არის ნამდვილი „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ასე განსაჯეთ, ზოგჯერ დევიდ მეიც კი გამოდის ძირითადში).

ამ „მანჩესტერ იუნაიტედს“ კი, ჩემპიონთა ლიგაში რომ თამაშობს, სხვა მიზნები ჰქონია. რა მიზნები უნდა იყოს? უთუოა, რომ ჩემპიონთა თასის აღება. დღეს ამაზე რთულად წარმოსადგენი მიზანი, ძნელი სანახავია, ვინაიდან, მიზნის მისაღწევად ახალ „მანჩესტერს“ არჩეული აქვს მსოფლიოში ყველაზე თავზეხელაღებული გზა. ეს გზა ძალიან ჰგავს 1982 წლის ბრაზილიის ნაკრების გზას. თუმცა, ამგვარი სერიოზული ლაპარაკები დღეს უადგილოა, ვინაიდან „მანჩესტერ იუნაიტედი“ სულ უფრო და უფრო იხრება დიდი შოუსკენ და ველარც კი გაიგებ ბროდვეიზე გამოდის, თუ „ოლდ ტრეფორდზე“.

„ოლდ ტრეფორდი“ ბროდვეი ხდება და ჰეფი ენდები სულაც არ არის საჭირო. საჭიროა ტრილერი. ამიტომ, შაბათობით ვუყუროთ. მე მთელი სექტემბერი ასე ვიქცეოდი და არ წამიგია.

ეს ლორან ბლანიც თითქოს იმიტომ წავიდა ნაკრებიდან, რომ „მანჩესტერში“ მისულიყო. და საერთოდ, „მანჩესტერ“ — „დეპორტივოს“ მატჩის ტელერეჟისორიც მშვენივრად მუშაობდა. მალიმალ, სერჯო ლეონეს ფართო პლანებით გვიჩვენებდა სოლსკიაერს, მსაჯის სასტვენის შემდეგ კი, ერთადერთი, რაც ამ თამაშიდან გამომყვა ფაბიენ ბარტეზის მთელს ეკრანზე გადაფენილი არტისტული ტრაგიზმით გამსჭვალული სახე იყო. აჰ, როგორ ჰგავდა ელი უოლაჰი გმირ ტუკოს ფილმიდან „კარგი, ცუდი, ავი“.

# იტალია

პაპუნა კედია



წინა სეზონის ინტერი — მილანი: ლუიჯი დი ბიაჯო (№14) და ფედერიკო ჯუნტი

## ხვალ არჩევნები მხოლოდ ვაკეში და ბაღდათშია

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბოლონია | - | იუვენტუსი |
| **ხვალ** | | |
| ინტერი | - | მილანი |
| ატალანტა | - | უდინეზე |
| კიევო | - | პარმა |
| ფიორენტინა | - | ვერონა |
| პიაჩენცა | - | ბრეშა |
| რომა | - | ლეჩე |
| ტორინო | - | პერუჯა |
| ვენეცია | - | ლაციო |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 6 | 4 | 2 | 0 | 11:5 | 14 |
| კიევო | 6 | 4 | 1 | 1 | 14:8 | 13 |
| ბოლონია | 6 | 4 | 0 | 2 | 4:3 | 12 |
| იუვენტუსი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:7 | 11 |
| მილანი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:9 | 11 |
| ლეჩე | 6 | 2 | 3 | 1 | 9:6 | 9 |
| რომა | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 9 |
| პიაჩენცა | 6 | 2 | 2 | 2 | 11:10 | 8 |
| ვერონა | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ბრეშა | 6 | 1 | 4 | 1 | 11:10 | 7 |
| პარმა | 6 | 1 | 4 | 1 | 6:6 | 7 |
| ლაციო | 6 | 1 | 4 | 1 | 3:3 | 7 |
| უდინეზე | 6 | 1 | 3 | 2 | 8:9 | 6 |
| პერუჯა | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | 6 |
| ფიორენტინა | 6 | 2 | 0 | 4 | 10:15 | 6 |
| ატალანტა | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | 4 |
| ტორინო | 6 | 0 | 3 | 3 | 7:12 | 3 |
| ვენეცია | 6 | 0 | 1 | 5 | 3:13 | 1 |

**გახსოვთ**, რა მოხდა გასულ სეზონში? შეგახსენებთ: „სან სიროზე", მილანურ დერბიში, „მილანმა" „ინტერს" 6:0 მოუგო.

და რა მოხდება ხვალ საღამოს? მოგახსენებთ: ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ოღონდ ძალიან გვეეჭვება „ინტერმა" შური იძიოს და „მილანს" 6:0 მოუგოს.

მილანური დერბის ისტორიაში ისეთი ცალკარა გასულ მაისს, რომ იყო, არავის ახსოვს. ის 0:6 „შავ-ლურჯების" მაშინდელ მწვრთნელს მარკო ტარდელის სამსახურის დაკარგვად დაუჯდა, ხოლო იტალიაში ბევრი ხუმრობდა: ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ზეგ არჩევნებია და „მილანის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი ქვეყნის პრემიერ-მინისტრობას უმიზნებსო. მართლაც, ამ დაუჯერებელი შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ სინიორ ბერლუსკონი იტალიის პრემიერ-მინისტრი გახდა და დღესაც პატივით ივანებს დიად სავარძელში.

რაც შეეხება "ინტერის" პრეზიდენტს, მასიმო მორატის, რომელიც თეორიულად ბერლუსკონის მეგობრად ითვლება, მაგრამ პრაქტიკულად ყველაფერში მის საწინააღმდეგო მხარესაა — პოლიტიკაში მემარცხენეა, ფეხბურთში კი „მილანის" მთავარ გამალიზიანებელს ხელმძღვანელობს — ისე იყო გაცეცხლებული, რომ ტარდელისთვის საერთოდ ხმა არ გაუცია, ხოლო ფეხბურთელები, ორდღიანი უბრად ყოფნის შემდეგ, სათითაოდ დაიბარა შინ და ბოდიში მოახდევინა.

დღეს ასეთი ვითარებაა: „მილანის" ქომაგები კვლავ ირონიული ღიმილით იხსენებენ ხუთი თვის წინანდელ ამბავს, მაგრამ საერთოიტალიური აზრით ბალანსი უფრო „შავ-ლურჯების" მხარესაა. ბალანსი ასე გამოჰყავთ: „ინტერი" სერია A-ს დღევანდელ ცხრილში პირველ ადგილზეა და ერთადერთი გუნდია, რომელიც ჯერ არ დამარცხებულა, რაც უპირველესად მის ახალ მწვრთნელს, არგენტინელ ექტორ რაულ კუპერს მიეწერება.

„მილანის" ახალი მწვრთნელი, თურქი ფათიჰ თერიმი კი გაცილებით დიდ სიძნელეებს წააწყდა. ბოლო ორ ტურში „შავ-წითლებმა" ცუდად ითამაშეს, პერუჯაში 1:3 წააგეს და შინ „ვენეციასთან" 1:1-ს დასჯერდნენ. მიუხედავად ამისა, კლუბის ხელმძღვანელობამ „იმპერატორს" ანუ ფათიჰ თერიმს მაინც ნდობა გამოუცხადა, თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს — გაზეთებში გამოჩნდა ასეთი სათაურები, „იმპერატორი შიშველია", რაც მწვრთნელს პირდაპირ შეახსენებს, რომ ამ ქვეყნად არსებობს დამოკლეს მახვილიც.

ამრიგად, თუ „მილანი" „ინტერს" დაამარცხებს, თერიმის რეიტინგი აიწევს, მაგრამ ეს შიდამილანური ამბავია, ხოლო გარეთ ანუ ცხრილში ლიდერი დამუხრუჭდება და ვინ იცის მისი ადგილი „კიევომაც" კი დაიკავოს — „კიევო" მილანურ დერბიმდე „პარმას" მასპინძლობს.

აქ, თქვენი ნებართვით, კვლავ შევეხებით თემას, რომელსაც ერთი კვირის წინაც გამოვეხმაურეთ. ეს თემა ვერონელთა შესაძლო ლიდერობაა. მართლაც პარადოქსულია, რომ გუნდი, რომელიც ისტორიაში პირველადაა ქვეყნის უმაღლეს დივიზიონში, რომელიც ისედაც არცთუ დიდი ქალაქის პატარა გარეუბნიდანაა და, რაც ყველაზე მთავარია, ამოცანად ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ისახავს, შესაძლოა, ლიდერი გახდეს.

ჩემპიონი „რომა", სერია A-ში შემორჩენილ ერთადერთ სამხრეთულ გუნდს, „ლეჩეს" მასპინძლობს, ხოლო „ლაციო" ვენეციაში მიემგზავრება. საინტერესოა, რომ „ვენეციას" ამ ტურში პირველად უხელმძღვანელებს ახალი მწვრთნელი, ალფრედო მანი, რომელიც ვინ არის და საიდან მოვიდა, წესიერად თვით იტალიელებმაც არ იციან.

„იუვენტუსმა", მოგეხსენებათ, ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაში 1:0 სძლია „რუსენბორგს" და ამით ეროვნულ პირველობასა და ევროთასზე ექვსი მოუგებელი თამაშის სერია დაასრულა. ახლა მარჩელო ლიპისა და მის ფეხბურთელებს იმედი აქვთ, რომ წარუმატებლობების ხანა დასრულდა და „რუსენბორგს" ზედ „ბოლონიასაც" დააყოლებენ, თუმცა ნუ დაგავიწყდებათ, რომ „ბოლონია" მესამე ადგილზეა და ამით ბევრი გააოცა თუ ვერა, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

პიაჩენცელ დარიო უბნერს, რომელიც ამჟამად შვიდი გოლით ბომბარდირთა შორის ლიდერობს, ამ ტურში მისი ყოფილი გუნდი „ბრეშა" ეწვევა და ისიც ძველი მეგობრობის გაუთვალისწინებლად შეეცდება თავის მონაგარს ახალი გოლები დაამატოს. ისე, კაცმა რომ თქვას, 34 წლის უბნერს „ბრეშადან" გულისტკენაც გამოყვა. კერძოდ, წინა სეზონში 17 გოლი გაიტანა, მაგრამ უთხრეს, რობერტო ბაჯოს კარგად ვერ ეწყობი და სხვა გზას ეწიეო.

ცალკე აღნიშვნის ღირსად შესაძლოა, კიდევ ერთი თამაში მივიჩნიოთ, ეს გახლავთ „ფიორენტინა" — „ვერონა", რომელიც ფლორენციის „არტემიო ფრანკიზე" გაიმართება და სადაც, მასპინძელთა კარში ტრავმირებული პინო ტალიალატელას ნაცვლად ავსტრიელ ალექ მანინგერს ვიხილავთ.

# ინგლისი

გიგა კობახიძე

## ფრანგულ ტონში

| X ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არსენალი | - | ბლექბერნი |
| დერბი | - | ჩარლტონი |
| ევერტონი | - | ასტონ ვილა |
| ლესტერი | - | ლივერპული |
| მანჩესტერი | - | ბოლტონი |
| მიდლსბრო | - | სანდერლენდი |
| ვესტ ჰემი | - | საუთჰემპტონი |
| **ხვალ** | | |
| ფულემი | - | იფსვიჩი |
| ლიდსი | - | ჩელსი |
| ნიუკასლი | - | ტოტენჰემი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 8 | 5 | 3 | 0 | 12:3 | 18 |
| არსენალი | 8 | 5 | 2 | 1 | 18:5 | 17 |
| მანჩესტერი | 8 | 5 | 2 | 1 | 25:14 | 17 |
| ასტონ ვილა | 7 | 4 | 3 | 0 | 11:3 | 15 |
| ნიუკასლი | 8 | 4 | 2 | 2 | 15:11 | 14 |
| ჩელსი | 7 | 3 | 4 | 0 | 12:7 | 13 |
| ლივერპული | 7 | 4 | 1 | 2 | 11:8 | 13 |
| ბლექბერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:11 | 12 |
| ბოლტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:10 | 12 |
| სანდერლენდი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:10 | 12 |
| ევერტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:10 | 11 |
| ტოტენჰემი | 9 | 3 | 2 | 4 | 14:14 | 11 |
| ჩარლტონი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 9 |
| მიდლსბრო | 9 | 2 | 2 | 5 | 8:17 | 8 |
| ფულემი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:10 | 7 |
| იფსვიჩი | 8 | 1 | 3 | 4 | 6:11 | 6 |
| საუთჰემპტონი | 7 | 2 | 0 | 5 | 5:12 | 6 |
| დერბი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:15 | 5 |
| ვესტ ჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:16 | 5 |
| ლესტერი | 9 | 1 | 2 | 6 | 5:19 | 5 |

**ყველას** მზერა ფაბიენ ბარტეზისკენ იქნება მიპყრობილი — გვარწმუნებს საგენტო „როიტერი" და ალბათ, ასეცაა — ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონის ორი მიუტევებელი შეცდომა ინგლისის ჩემპიონს ძვირად დაუჯდა და ახლა ყველა იმას კითხულობს, მოიშლის თუ არა „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე შეთავსებით მცველად თამაშს.

ალექს ფერგიუსონის გუნდი ისევ „ოლდ ტრეფორდზე" თამაშობს, თუმცა ამჯერად მეტოქედ გაცილებით პროზაული „ბოლტონი". ჰყავს და სქოთი მწვრთნელი, ალბათ, ისევ ნახევრადსათადარიგო შემადგენლობას გაიყვანს. მით უმეტეს, რომ სეზონის სტარტის ლიდერ „ბოლტონს" უცბად მე-9 ადგილზე რომ ჩამოსკუპებულა, აგერ უკვე 6 ტურია, მოგება არ უნახავს. ვარაუდობენ, რომ მასპინძლებს შეტევაში სოლსკიაერი და კოული ეყოლებათ, ხოლო ვის დაასვენებს სერ ალექსი ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩების წინ, მხოლოდ თავად უწყის. ერთი ეგაა, „დეპორტივოსთან" გაბარტეზებულ თამაშში დაშავებული რონი იონსენის მწყობრში ჩადგომა, ალბათ, ვერ მოესწრება. ამ მატჩზე ერთიც ვთქვათ — სტუმართა მწვრთნელი რემ ოლარდისი, ვისაც გუნდთან ათწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, გუშინ 47 წლისა შესრულდა, თუმცა საეჭვოა, დაბადების დღის მილოცვა შეგირდებმა წარმატებული თამაშით მოახერხონ. ისე, თუ მუსიე ფაბიენმა ისურვა...

„ჩელსის" დასვენებული ფრანგები — კაპიტანი მარსელ დესაი, ემანუელ პეტი და უილიამ გალასი — თავის მამაც თანაგუნდელებთან ერთად ამჯერად ლიდსს ეწვევიან. სანამ ზემოთნახსენები ტრიო კიდევ სამ კაცთან ერთად ლონდონში ნებივრობდა, დანარჩენები არცთუ უხიფათო თელ ავივში ჩავიდნენ და 0:2 წააგეს. ეს მიმდინარე სეზონში „ჩელსის" პირველი მარცხი იყო, თუმცა პრემიერლიგაში ლონდონელები ისევ წაუგებლად თამაშობენ. ასევე ირჯება მათი ხვალინდელი მასპინძელი და ლიდერი „ლიდსი". ასე რომ, ტურის უმთავრესი შეხვედრა სწორედ „ელანდ როუდზე" შედგება. საზოგადოდ, ამ ორი გუნდის ურთიერთშეხვედრები დიდი დაძაბულობითა და დაუნდობლობით გამოირჩევა — ორ შარშანდელ მატჩში მსაჯებმა 16 ფეხბურთელი გააფრთხილეს, ფრანგი ლებეფი კი გააძევეს. შარშანწინაც ასე იყო და მაშინ ლიდსელთა ავსტრალიელი ჰარი კიუელი დაითხოვეს მოედნიდან. სავარაუდოა, რომ დევიდ ოლირის გუნდში ხვალ სეტ ჯონსონის დებიუტი შედგება: ეს 22 წლის ყმაწვილი იორკშირელებმა გუშინწინ 7 მილიონ გირვანქად იყიდეს ბედკრული „დერბი ქაუნთისგან".

მილებული თანხა დერბელებმა სასწრაფოდვე საქმეში ჩააბრუნეს ანუ ცხრილის სარდაფში მომწყვდეულ გუნდს ახალი სისხლი გადაუსხეს. ახლა „ქაუნთის" ახალ მწვრთნელ კოლინ ტოდს სამი ახალი მოთამაშე ჰყავს: „ბრედფორდიდან" გადმობირებული 30 წლის იტალიელი თავდამსხმელი ბენიტო კარბონე, „პარი სენ ჟერმენში" ნაყიდი ნახევარმცველი პიერ დუკროკი და ასევე ფრანგული „ტრუას" არგენტინელი მცველი ლუსიანო სავანო. ახალწვეულთა სამაია შესაძლოა, დღესვე, „ჩარლტონთან" მატჩში ვიხილოთ, სადაც „დერბი" სეზონში მეორე გამარჯვების მოპოვებას შეეცდება. ეს არცთუ იოლია, ვინაიდან „ჩარლტონს" ბოლო ოთხი ტურია, არ წაუგია.

რადგან ძირითადად ფრანგებზე ვლაპარაკობთ, წინა ტურში ნაინფარქტალი ჟერარ ულიეს მდგომარეობასაც გაგაცნობთ. „ლივერპულის" თავკაცი ისევ პალატაშია, თუმცა თავს უკეთესად გრძნობს. მიუხედავად ამისა, ექიმების დასკვნით, იგი კიდევ 2-3 თვე ვერ შეძლებს სათადარიგოთა სკამზე ჩვეული ადგილის დაკავებას. ამ ხნის მანძილზე გუნდს ულიეს თანაშემწე ფილ ტომპსონი გაუძღვება, რომლის კიევურმა დებიუტმა ლივერპულის ჰოსპიტლის ყველაზე ცნობილი პაციენტი დიდად გაახარა. დღეს ტომპსონი მერსისაიდელებს მთლად მაჩანჩალა „ლესტერთან" დამოძღვრავს, თუმცა კვლავ არ ეყოლება მაიკლ ოუენი. ისე, სტუმრებს, შარშან „ფილბერტ სტრიტზე" განცდილი მარცხი რომ ახსოვთ, დიდი შეგულიანება არც სჭირდებათ, თანაც „ლესტერმა" ბოლო სამ თამაშში 10 გოლი გაუშვა და ხასიათი წახდენილი აქვს. ერთი, რაც მასპინძლების სასარგებლოდ შეგვიძლია ვთქვათ (ოუენის არყოფნის გარდა), ისაა, რომ ეს მათი ახალი მწვრთნელის დეივ ბარეტის პირველი საშინაო მატჩია.

კიდევ ერთი ფრანგის ჟან ტიგანას პრემიერლიგაში ეფექტური შემოსვლა თანდათან დაცხრა და ახლა მისი „ფულემი" ცხრილში მეზობელ „იფსვიჩთან" შეეცდება მდგომარეობის გამოსწორებას — ახლანდელი „იფსვიჩი" ხომ შარშანდელის აჩრდილია და წლეულს მხოლოდ ერთ შეხვედრაში შეძლო ერთზე მეტი გოლის გატანა.

საინტერესო მატჩია ნიუკასლშიც. მასპინძლებს არ ეყოლებათ ფრანგი ფრთა ლორან რობერი, ვინც მშობლიურ ქალაქშია წასული ბაბუის დასაკრძალად. სამაგიეროდ, მშვენიერ ფორმაშია ჯორდების ლიდერი ალან შირერი.

ტრავმათა სიმრავლის მიუხედავად, აგრესიულად ირჯება „ტოტენჰემიც", რომელმაც ორშაბათს „დერბის" კარში 24-ჯერ დაარტყა, რაც წლევანდელი პრემიერლიგის რეკორდია.



ფაბიენ ბარტეზმა „მანჩესტერს" თავის ტკივილი გაუჩინა

## გერმანია

სოლომონ გულისაშვილი

# ლიზარაზუმ, ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადი...



პერუელი პიზარო და ფრანგი ლიზარაზუ ბაიერნელობით ამაყობენ

**დღეს** „ბაიერნს“ შანსი აქვს წლეულს პირველად მოექცეს ბუნდესლიგის ცხრილის სათავეში. ამისთვის ოტმარ ჰიცფელდის გუნდმა შინ, „ოლიმპიაშტადიონზე“ ლიდერი „კაიზერსლაუტერნი“ უნდა დაამარცხოს.

„ბაიერნი“ ცდილობს თავისი უსაზღვრო ამბიცია ყოველ წუთს დაამტკიცოს და ჯერჯერობით გამოსდის კიდეც — ბოლო კვირის მანძილზე ჰიცფელდელებმა ორი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარეს და ჯამში 10 გოლი გაიტანეს. ჯერ იყო და ქალაქურ დერბიში „მიუნხენი“ 5:1 გაანადგურეს, ოთხშაბათს კი ლიგის შეხვედრაში მოსკოვის „სპარტაკი“ იმავე ანგარიშით დაანგრიეს.

„კაიზერსლაუტერნი“ კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენ დავამტკიცებთ, რომ უფრო ძლიერები ვართ“ — ამბობს ბავარიელთა ფრანგი განაპირა მცველი, ბიქსენტ ლიზარაზუ.

მასპინძლებს ისევ ცნობილი სამეული: შტეფან ეფენბერგი, იენს იერემისი და მეჰმეთ შოლი არ ეყოლებათ, მაგრამ განა ამათი არყოფნა რამეს ცვლის? კლუბის მენეჯერი ული ჰიონესი დასძენს: „ტრავმირებულები მალე დაგვიბრუნდებიან, თუმცა არც მათი არყოფნაა პრობლემა. დღეს ჩვენ ოცი ისეთი ფეხბურთელი გვყავს, რომლებსაც უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლიათ“.

სტუმართათვის ყველაზე სახიფათო ბრაზილიელი შემტევი ჯოვანი ელბერი იქნება, ვინც „ბაიერნის“ ბოლო 10 მატჩში 10 გოლი გაიტანა. ჰიცფელდს თავისიანების ბოლომდე სჯერა და ეს შუა კვირაში „სპარტაკთან“ შეხვედრისასაც დამტკიცდა. პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 3:0 იყო, მაგრამ სათადარიგოები ზრდილობის გულისთვის მინდორზე ბოლოსღა გამოჩნდნენ. არვინ დაღლილა და იმიტომ.

„ლაუტერნმა“ ჩემპიონატის დასაწყისში შვიდიდან შვიდივე თამაში მოიგო, მაგრამ მხოლოდ „ბაიერნის“ ექვსი წლის წინანდელი რეკორდის გამეორება შეძლო, მერე კი „ვოლფსბურგთან“ დამარცხდა და დღეს დიდი ფსიქოლოგიური გამოცდა ელის. გასულ შაბათს, „ჰანზასთან“ მოგების მერე ანდრეას ბრემე ამბობდა, ჯერ მხოლოდ ცხრა ტური მოვიტოვეთ უკან, ამიტომ ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს. მომავალ შაბათს მიუნხენში „ბაიერნს“ ვხვდებით და აუცილებლად უნდა მოვუგოთო.

ბოლო ბოლო, ბრემე მსოფლიოს ჩემპიონია და თავისი ამბიცია აქვს, მაგრამ მისი გუნდის ნაღდი ძალა მაინც დღეს გამოიცდება.

ახლა კვირის თამაშებზე ვთქვათ. ბოლო დროს წელში გამართული „დორტმუნდი“ „ვესტფალენშტადიონზე“ ჩვენებურთა „ფრაიბურგს“ დაუხვდება. მათიას ზამერის გუნდმა სასტარტო ოთხი გამარჯვების შემდეგ წაიფორხილა და ბლომად ქულებიც დაკარგა, მაგრამ თუ ბოლო შედეგებს გავითვალისწინებთ, ჩანს, კრიზისი დაძლიეს და პირველობისთვის საბრძოლველად კვლავაც მზად არიან. ხვალ მათ დისკვალიფიცირებული ჩეხი გამთამაშებელი ტომაშ როსიცკი არ ეყოლებათ, მაგრამ განა ეს ბევრს წყვეტს? ფოლკერ ფინკეს ბიჭებს კი 22 სექტემბრის მერე აღარ მოუგიათ, გასავარდნებსაც დაუახლოვდნენ და ბუნებრივია, მრისხანე „დორტმუნდთან“ შეეცდებიან დაამტკიცონ, რომ შარშან უეფას თასის საგზური შემთხვევით არ მოუპოვებიათ.

საინტერესო თამაში იქნება ვოლფსბურგშიც. მასპინძელ „მგლებს“ პირველ შვიდ ტურში გამარჯვების სიხარული არ ენახათ და ბოლო ორ შეხვედრაში თავი გაიგიჟეს, ჯერ შინ ლიდერ „კაიზერსლაუტერნს“ მოუგეს, მერე სტუმრად უარველაძეო „კიოლნი“ 4:0 დაამცირეს. „ჰამბურგს“ კი ახლახან სათავეში ავსტრიელი კურტ იარა ჩაუყენეს და ერთი შეხედვით, საქმეც გამოსწორდა. წინა ტურში „ჰამბურგმა“ ბერლინის „ჰერტას“ 4:0 მოუგო და სტატისტიკოსებმაც აღმოაჩინეს, რომ კლუბის ისტორიაში ჯერ არც ერთ დამრიგებელს ჰქონია ასეთი რიხიანი დებიუტი. ვნახოთ, ხვალ რა იქნება...

| X ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბაიერნი | - | ლაუტერნი |
| ჰერტა | - | ვერდერი |
| ნიურნბერგი | - | გლადბახი |
| ზანქტ პაული | - | კოტბუსი |
| ლევერკუზენი | - | შტუტგარტი |
| შალკე | - | მიუნხენი |
| ჰანზა | - | კიოლნი |
| ხვალ | | |
| დორტმუნდი | - | ფრაიბურგი |
| ვოლფსბურგი | - | ჰამბურგი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაუტერნი | 9 | 8 | 0 | 1 | 23:10 | 24 |
| ბაიერნი | 9 | 7 | 1 | 1 | 21:3 | 22 |
| ლევერკუზენი | 9 | 6 | 3 | 0 | 21:10 | 21 |
| დორტმუნდი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:6 | 19 |
| შტუტგარტი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:9 | 15 |
| ვერდერი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:11 | 14 |
| შალკე | 9 | 4 | 2 | 3 | 11:12 | 14 |
| კოტბუსი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:16 | 11 |
| ჰერტა | 9 | 3 | 2 | 4 | 11:15 | 11 |
| მიუნხენი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:18 | 11 |
| ჰამბურგი | 9 | 2 | 3 | 4 | 13:14 | 9 |
| გლადბახი | 9 | 2 | 3 | 4 | 11:12 | 9 |
| ვოლფსბურგი | 9 | 2 | 3 | 4 | 13:15 | 9 |
| ფრაიბურგი | 9 | 2 | 3 | 4 | 11:14 | 9 |
| კიოლნი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:15 | 8 |
| ნიურნბერგი | 9 | 2 | 1 | 6 | 6:14 | 7 |
| ჰანზა | 9 | 1 | 3 | 5 | 7:16 | 6 |
| ზანქტ პაული | 9 | 0 | 4 | 5 | 7:15 | 4 |

## ესპანეთი

გიორგი დარჩია

# თბილისში თქვეს, ასე იქნებაო...

| IX ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| სოსიედადი | - | ოსასუნა |
| დეპორტივო | - | სევილია |
| მალაგა | - | ბარსელონა |
| ბეტისი | - | ვილიარეალი |
| ლას პალმასი | - | ბილბაო |
| ხვალ | | |
| ვალიადოლიდი | - | ალავესი |
| რეალი | - | სელტა |
| ვალენსია | - | სარაგოსა |
| მალიორკა | - | რაიო ვალეკანო |
| ესპანიოლი | - | ტენერიფე |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 8 | 5 | 2 | 1 | 16:9 | 17 |
| სელტა | 8 | 4 | 4 | 0 | 16:6 | 16 |
| ბეტისი | 8 | 5 | 1 | 2 | 12:7 | 16 |
| ბარსელონა | 8 | 4 | 3 | 1 | 13:6 | 15 |
| ვალენსია | 8 | 3 | 5 | 0 | 9:6 | 14 |
| ვილიარეალი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:7 | 13 |
| ალავესი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:4 | 12 |
| სევილია | 8 | 3 | 3 | 2 | 14:12 | 12 |
| სარაგოსა | 8 | 3 | 2 | 3 | 9:9 | 11 |
| ვალიადოლიდი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:12 | 11 |
| ბილბაო | 8 | 3 | 2 | 3 | 10:12 | 11 |
| ოსასუნა | 8 | 3 | 2 | 3 | 4:9 | 11 |
| ლას პალმასი | 8 | 3 | 1 | 4 | 9:6 | 10 |
| ტენერიფე | 8 | 3 | 1 | 4 | 7:10 | 10 |
| ესპანიოლი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:15 | 10 |
| რეალი | 8 | 2 | 3 | 3 | 13:12 | 9 |
| მალაგა | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | 9 |
| მალიორკა | 8 | 1 | 2 | 5 | 3:12 | 5 |
| რაიო | 8 | 1 | 1 | 6 | 8:15 | 4 |
| სოსიედადი | 8 | 0 | 2 | 6 | 7:16 | 2 |

- **როგორ ჰგავს** „რეალის“ ახლანდელი ყოფა ორი წლისწინანდელს. მაშინ მადრიდელებმა, ჯონ ტოშაკის მეთაურობით ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი უპრობლემოდ გადალახეს, მაგრამ პრიმერადივიზიონში დეკემბრამდე, მტრისას, ისე საზიზღრად ითამაშეს და ერთხანს მეთექვსმეტე ადგილზეც იყვნენ. ახლანდელი, ვისენტე დელ ბოსკეს „რეალიც“ ზუსტად ისეთსავე მდგომარეობაშია და ვინძლო, ერთი-ორი წაბორძიკებაც საკმარისი გამოდგეს ულვაშა მწვრთნელის მოსახსნელად, როგორც თავის დროზე ტოშაკს დაემართა. თან ისე აეწყო, რომ „სამეფო კლუბს“ ურთულესი მატჩები ელის — ხვალ „სელტასთან“, ორი კვირის მერე კი „ბარსელონასთან“.

თუ დელ ბოსკეს აქამდე თავის მართლების საფუძველი ჰქონდა (თუმც არცთუ დამაჯერებელი), ამჯერად არაფერი გამოუვა, რადგან „სელტას“ უძლიერესი შემადგენლობით ხვდება. ორთვიანი მკურნალობის მერე გუნდს დაუბრუნდა საყრდენი ივან ელგერა, რომლის ღირსეულად შეცვლასაც ვერავინ ახერხებდა. ელგერას დაბრუნებას (ის „ინტერთან“ სეზონისწინა ამხანაგურ მატჩში დაშავდა) მადრიდელი ფანობა ისეთი იმედით ელის, რომ ლამის მესიადაც კი გამოაცხადეს. მომჯობინებულა ზინედინ ზიდანიც, რომელიც ავად იყო.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „რეალმა“ ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე უკვე გააღწია და შეუძლია ყურადღება მთლიანად შიდა ჩემპიონატს დაუთმოს.

ივან ელგერამ კი თქვა: „მიყვარს „სელტას“ მსგავსი გუნდები — ისინი მეტოქეს გახსნილი ფეხბურთის თამაშის საშუალებას აძლევენ, ეს კი ჩვენი უმთავრესი კოზირია“.

„სელტამ“ კი ხუთშაბათს ფაქტობრივად გაინაღდა უეფას თასის შემდეგ ეტაპზე გასვლა, როცა ჩეხურ „ლიბერეცს“ შინ 3:1 სძლია. სამივე გოლი რუსმა ალექსანდრ მოსტოვოიმ შეაგდო. საინტერესოა, რომ ვიგოელთა თავკაცმა ვიქტორ ფერნანდესმა „ლიბერეცთან“ ძირითადი შემადგენლობის რვა ფეხბურთელი დაასვენა. მოკლედ, ჯიგრიანი თამაში გველის.

თავში ტოშაკი ვახსენეთ და მისი „რეალ სოსიედადი“ „ოსასუნას“ მასპინძლობს. წინა კვირაში ესპანეთის თასიდან მესამე დივიზიონის გუნდის მიერ გაგდებულ სანსებასტიანელებს, „რეალის“ მსგავსად, სეზონში პირველად აქვთ უძლიერესი შემადგენლობის გაყვანის საშუალება. ტრავმები მოუშუშებიათ ბიორნ ტიორე კვარმეს, ინიგო იდიაკისს და ხავიერ დე პედროს. აქვე ვთქვათ, რომ თბილისელ „მეკუშეთა“ შორის გავრცელებული აზრის თანახმად, „სოსიედადი“ უეჭველად მოუგებს „ოსასუნას“, რაკი პამპლონელებს ვალი აქვთ დასაბრუნებელი. გავიხსენოთ: წინა სეზონის ბოლოს „ოსასუნა“ იმით გადაურჩა დივიზიონიდან გავარდნას, რომ სან სებასტიანში 1:0 მოიგო, თან ორივე ბასკური გუნდია. ჰოდა, ამბობენ, ახლა „სოსიედადი“ ვარდება და ვალის დაბრუნების დროაო. თუ ამგვარი რალაცები სიმართლეა, დაველოდოთ და გამოჩნდება.

„ვალენსია“ მასპინძლობს „სარაგოსას“. ორივენი ხუთშაბათს უეფას თასზე თამაშობდნენ და გადაღლილები უნდა იყვნენ, უფრო კი „ვალენსია“, რომელმაც ვარშავაში გაჭირვებით გაახერხა ფრე. ამასთანავე ვალენსიელებს იმ მატჩში დაემტვრათ ვისენტე და გონსალო დე ლოს სანტოსი, რომელთა ხვალ თამაშიც ერთობ საეჭვოა.

გასავარდნთა ზონაში მყოფები — „მალიორკა“ და „რაიო ვალეკანო“ პალმა დე მალიორკაში ითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ დებიუტი ექნება კუნძულელთა ახალ მწვრთნელ სერჯიო კრეშიჩს, რომელმაც გერმანელი ბერნდ კრაუსი შეცვალა. სავარაუდოდ, მალიორკელებს არიელ იბაგასაც შეემატება, რომელსაც ტრავმა მოუშუშებია.

თუ დღეს ესპანეთში ვინმე გამორჩეულად კარგ ფეხბურთს თამაშობს, ლიდერი „დეპორტივოა“, რომელიც ხვალ „სევილიას“ უპირებს გადაყლაპვას. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ლაკორუნიელებმა შესაძლოა ეს ვერ მოახერხონ, ის ეიფორიაა, ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძლევის გამო რომ არსებობს.

საპრიზო ადგილზე აცოცებას ეცდება „ბარსელონა“, რომელიც ტრავმამოშუშებული პატრიკ ანდერსონით გაძლიერდა და მალაგაში ჩადის.



ივან ელგერასთვის (შუაში) სეზონი ახლა იწყება

საქართველოს ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

# დღეს საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატი იწყება!

## ბასკო

### ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| დავით თორთლაძე | 1970 | 186 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | 1986 | 196 |
| ჯეფრი როჯერსი | 1973 | 186 |
| ირაკლი საყვარელიძე | 1986 | 199 |
| ნიკა ჩხატარაშვილი | ? | 201 |
| ვლადიმერ ბეჟანიშვილი | 1975 | 202 |
| ჟოლივეტ ტუჯანი | 1980 | 198 |
| ამროსი ორმოცაძე | 1970 | 200 |
| ლაშა კეშელავა | 1981 | 199 |
| დავით ბერძენიშვილი | 1976 | 207 |
| სერგო ათუაშვილი | 1985 | 221 |
| ანტონ არხიპოვი | ? | 205 |
| დავით იმნაძე | ? | 206 |
| ფიოდორ სლიშალოვი | ? | 194 |
| მამუკა ბოლქვაძე | ? | 201 |
| არჩილ ბოლქვაძე | ? | 200 |

*მთავარი მწვრთნელი: პაველ გოოგე*
*მწვრთნელები: ნუგზარ კანდელაკი, ომარ მეჯიდი*

## მაკაბი

### თბილისი

| | | |
|---|---|---|
| ლადო სუხიშვილი | 1979 | 205 |
| მამუკა ფიცხელაური | 1976 | 206 |
| თორნიკე ჯანელიძე | 1982 | 206 |
| გივი ვაშაკიძე | 1983 | 202 |
| დავით სარიშვილი | 1967 | 198 |
| შალვა კრიხელი | 1984 | 196 |
| ირაკლი კეიდია | 1983 | 200 |
| გოჩა წოწელია | 1977 | 196 |
| დავით ბერიშვილი | 1978 | 175 |
| ირაკლი ბერიშვილი | 1978 | 175 |
| კონსტანტინე ქოქოსაძე | 1981 | 198 |
| დავით კაშია | 1984 | 192 |
| გივი მჭედლიშვილი | 1981 | 200 |
| დავით ლასარეიშვილი | 1979 | 202 |

*მთავარი მწვრთნელი: ჯამლეთ ხუხაშვილი*
*მწვრთნელები: დავით რიბაშვილი, მიხეილ ხუხაშვილი*

## შევარდენი

### თბილისი

| | | |
|---|---|---|
| ლევან ქევხიშვილი | 1973 | 202 |
| ზურაბ გულხადარაშვილი | 1981 | 195 |
| კახა მაჭავარიანი | 1972 | 190 |
| გიორგი ჩხეიძე | 1973 | 190 |
| ვასილ გოგუა | 1974 | 205 |
| ბექა ნუცუბიძე | 1975 | 200 |
| ნიკოლოზ ნოზაძე | 1977 | 185 |
| ირაკლი გელაშვილი | 1979 | 196 |
| თამაზ გიგაური | 1974 | 195 |
| გიორგი კაზანჯიანი | 1976 | 187 |

*მთავარი მწვრთნელი: ვალერი ალთაბაევი*
*მწვრთნელი: უ. შევარდნაძე*

## დინამო

### თბილისი

| | | |
|---|---|---|
| თორნიკე ნინიაშვილი | 1982 | 205 |
| გოდერძი კორძაძე | 1971 | 205 |
| ზურაბ ჩუბინიძე | 1973 | 200 |
| გიგი ნაცვლიშვილი | 1980 | 195 |
| რევაზ ჩხეიძე | 1973 | 196 |
| მამუკა ტურაშვილი | 1970 | 195 |
| ირაკლი კონჯარია | 1980 | 202 |
| გოგიტა ბერია | 1979 | 197 |
| ანატოლი ბერიშვილი | 1983 | 189 |
| ზვიად მიქაძე | 1981 | 192 |
| ირაკლი მაისურაძე | 1976 | 190 |
| დავით აკოლაშვილი | 1979 | 186 |
| იოსებ ნინოშვილი | 1981 | 190 |
| არმენ ოგანესიანი | 1969 | 218 |
| გიორგი ჩავლეიშვილი | 1985 | 202 |
| დავით იაშვილი | 1979 | 190 |

*მთავარი მწვრთნელი: ლევან მოსეშვილი*
*მწვრთნელები: ვაჟა მხეიძე, გელა დარსაძე*

## სტუ-ჯეოსელი

### თბილისი

| | | |
|---|---|---|
| გიორგი გაგნიძე | 1981 | 190 |
| გიორგი მარხვაშვილი | 1985 | 190 |
| ირაკლი ხოშტარია | 1976 | 190 |
| ბორის სულაძე | 1983 | 180 |
| მამუკა აბრამიძე | 1973 | 195 |
| ალეკო დავითულიანი | 1974 | 195 |
| გიორგი ლოსაბერიძე | 1982 | 197 |
| ვახტანგ ჩინაშვილი | 1979 | 200 |
| ვასილ ოთიურიძე | 1974 | 201 |
| კახაბერ შენგელია | 1972 | 210 |
| გიორგი მდივანი | 1985 | 204 |

*მთავარი მწვრთნელი: ნუგზარ ჭეიშვილი*
*მწვრთნელები: ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ალ. კვერნაძე*

## აზოტი

### რუსთავი

| | | |
|---|---|---|
| ზაზა გაბისონია | 1973 | 185 |
| ზვიად ბაბიაშვილი | 1978 | 200 |
| მიხეილ ბერუაშვილი | 1970 | 206 |
| არჩილ ჟღენტი | 1975 | 185 |
| იური დანელიანი | 1981 | 200 |
| ანატოლი ბოისა | 1983 | 192 |
| დავით არწივაძე | 1983 | 175 |
| შოთა მაჭარაძე | 1975 | 206 |
| რამაზ გოგობერიშვილი | 1973 | 194 |
| ნუგზარ კოკოლიშვილი | 1971 | 198 |
| ლევან ჯიმშელეიშვილი | 1977 | 194 |
| გეგი ლიპარტელიანი | 1985 | 192 |

*მთავარი მწვრთნელი: ზურაბ ტომარაძე*
*მწვრთნელები: ბადრი კიკვიძე, ვახტანგ ლობჟანიძე*

## სსუ

### სოხუმი

| | | |
|---|---|---|
| ივანე აბულაძე | 1981 | 206 |
| გიორგი ერქვანია | 1985 | 208 |
| ბეჟან ქვილითაია | 1972 | 203 |
| ვახტანგ ქვილითაია | 1976 | 200 |
| ირაკლი ძიძიგური | 1982 | 203 |
| ზურაბ ტაპატაძე | 1976 | 204 |
| კირილე ტატუნაშვილი | 1982 | 205 |
| ვალერი ლაცუზბაია | 1981 | 196 |
| გიორგი ჟღენტი | 1981 | 178 |
| ირაკლი სორდია | 1982 | 193 |
| ერასტი ფენდერავა | 1983 | 192 |
| თემურ კანკია | 1983 | 194 |
| მამუკა ქეცბაია | 1985 | 196 |
| მიხეილ ჩიტაშვილი | 1984 | 185 |
| მამუკა ხოშტარია | 1984 | 196 |

*მთავარი მწვრთნელი: ვაჟა კვარაცხელია*
*მწვრთნელი: ბ. ქვილითაია*

## თსუ

### თბილისი

| | | |
|---|---|---|
| გიორგი ნიკოლაძე | 1978 | 187 |
| ნიკოლოზ ვეფხვაძე | 1981 | 187 |
| ვიქტორ სანიკიძე | 1987 | ? |
| შალვა ხეცურიანი | 1983 | 196 |
| გიორგი მარკოიშვილი | 1983 | 200 |
| ლუკა შანიძე | 1982 | 201 |
| ლევან ქარაბაკი | 1977 | 204 |
| გოჩა არსიაშვილი | 1976 | 197 |
| გულივერ ახალკაცი | 1976 | 202 |
| ზურაბ სანიკიძე | 1985 | 205 |
| ლაშა ზამთარაძე | 1982 | 200 |
| ვალერი კილაძე | 1975 | 203 |
| დავით ზანგურაშვილი | 1985 | 197 |
| დავით მუშკუდიანი | 1980 | 208 |

*მთავარი მწვრთნელი: ბესიკ ლიპარტელიანი*
*მწვრთნელები: გელა წულაძე, გია ჯავახიშვილი*

## ქუთაისი

### ქუთაისი

| | | |
|---|---|---|
| მიხეილ ბერეკაშვილი | 1984 | 200 |
| ბუბა კვიმსაძე | 1984 | 192 |
| მირიან კუპრაშვილი | 1983 | 199 |
| კახა დარახველიძე | 1981 | 186 |
| გიორგი პირტახია | 1981 | 188 |
| ზურაბ ლომიძე | 1984 | 189 |
| ლევან შავლაყაძე | 1983 | 190 |
| მიხეილ ცერცვაძე | 1983 | 203 |
| ვიქტორ კოლუაშვილი | 1986 | 200 |
| ნოე შანიძე | 1982 | 207 |
| დავით ბარბაქაძე | 1982 | 204 |
| ნიკა ჩიხლაძე | 1982 | 192 |
| ზურაბ ბადრიძე | 1981 | 188 |
| რევაზ ჭირაქაძე | 1982 | 196 |
| მამუკა კიკუაშვილი | 1980 | 200 |

*მთავარი მწვრთნელი: ზაურ დოლაბერიძე*
*მწვრთნელები: შოთა ჯავახიშვილი, მალხაზ კოხრეიძე*

## პირველი წრის კალენდარი

| | |
|---|---|
| **20 ოქტომბერი** | |
| თსუ — სსუ | 13.00 |
| შევარდენი — დინამო | 14.45 |
| **21 ოქტომბერი** | |
| აზოტი — ქუთაისი | 13.00 |
| **25 ოქტომბერი** | |
| ბასკო — ქუთაისი | 16.00 |
| **26 ოქტომბერი** | |
| ბასკო — შევარდენი | 16.00 |
| **27 ოქტომბერი** | |
| დინამო — ქუთაისი | 12.00 |
| მაკაბი — აზოტი | 14.30 |
| სტუ — თსუ | 16.15 |
| **28 ოქტომბერი** | |
| შევარდენი — აზოტი | 12.00 |
| დინამო — მაკაბი | 13.45 |
| სსუ — სტუ | 15.30 |
| **3 ნოემბერი** | |
| სტუ — ქუთაისი | 11.00 |
| მაკაბი — სსუ | 12.45 |
| თსუ — შევარდენი | 14.30 |
| აზოტი — დინამო | 16.15 |
| **4 ნოემბერი** | |
| სსუ — აზოტი | 11.00 |
| ქუთაისი — მაკაბი | 12.45 |
| დინამო — თსუ | 14.30 |
| სტუ — ბასკო | 16.15 |
| **5 ნოემბერი** | |
| მაკაბი — ბასკო | 13.00 |
| **10 ნოემბერი** | |
| შევარდენი — ქუთაისი | 11.00 |
| დინამო — სსუ | 12.45 |
| თსუ — ბასკო | 14.30 |
| სტუ — აზოტი | 16.15 |
| **11 ნოემბერი** | |
| სსუ — შევარდენი | 11.00 |
| ქუთაისი — თსუ | 12.45 |
| სტუ — მაკაბი | 14.30 |
| დინამო — ბასკო | 16.15 |
| **17 ნოემბერი** | |
| სსუ — ქუთაისი | 12.00 |
| შევარდენი — სტუ | 13.45 |
| აზოტი — თსუ | 15.30 |
| **18 ნოემბერი** | |
| თსუ — მაკაბი | 13.00 |
| სტუ — დინამო | 14.45 |
| ბასკო — სსუ | 16.00 |
| **19 ნოემბერი** | |
| მაკაბი — შევარდენი | 13.00 |
| ბასკო — აზოტი | 16.00 |

# ქუთაისი ეროვნულს უბრუნდება

*მდიდარი ტრადიციების ქუთაისური კალათბურთის ბოლოდროინდელ გაჭირვებულ ყოფაზე ბევრჯერ დაგვიწერია. ამჯერად აღარ დავწვრილმანდებით და მოკლედ ვიტყვით, უყურადღებობამ, ელემენტარული პირობების უქონლობამ უმძიმეს დღეში ჩააგდო სპორტის ეს სახეობა. გეახსოვრებათ, ოთხი წლის წინ ქუთაისელ ვაჟთა გუნდი უსახსრობის გამო შუა გზიდან ჩამოსცილდა ეროვნულ ჩემპიონატს და მას შემდეგ, იქ აღარ გამოჩენილა. არადა, ქუთაისში ჯერაც მრავლად არიან შრომისმოყვარე მწვრთნელები, საუკეთესო სპეციალისტები, გაუსაძლის პირობებშიც რომ არ ღალატობენ საყვარელ საქმეს, ქართულ კალათბურთს კვლავაც უზრდიან ბიჭებს და მომავალს იმედის თვალით შეჰყურებენ.*

*უსაშველო მტერს დაადგა... ეტყობა, ქალაქში ვიღაც დაფიქრდა, კალათბურთისკენ მიიხედა და საქმესაც სასიკეთო პირი გამოუჩნდა. სასიხარულო ამბავი უნდა გამცნოთ: ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ქუთაისელი ვაჟები ეროვნულ ჩემპიონატში ჩაებმებიან და ხვალ ზაურ დოლაბერიძის და შოთა ჯავახიშვილის მიერ დამოძღვრილ გუნდს პირველი გამოცდის ჩაბარება მოუწევს რუსთავის „აზოტთან", მანამდე კი...*

*ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ქუთაისური გუნდის მთავარ მწვრთნელთან* **ზაურ დოლაბერიძესთან** *საუბარი.*

**— მოსალოცი ამბავია, ჩემპიონატში მონაწილეობთ, როგორ მოხდა!?**

— თავიდანვე გეტყვით, ყველაფერი, რაც მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის მერიის დახმარებით, სხვა ვინმე ახლოსაც არ გაგვკარებია.

**— კერძოდ, რაში გამოიხატა ეს დახმარება?**

— 12-დღიანი საწვრთნელი შეკრება გავიარეთ ქობულეთში. სპორტული ფორმით დავსაჩუქრდით, ჩემპიონატში სამონაწილეო წინასწარი შესატანიც მერიამ დაფარა. რამდენიმე დღის წინ გუნდის წევრებს, მართალია, არცთუ დიდი ოდენობით, პრემიებიც დაურიგდა. ნოემბრიდან ბიჭებს ხელფასიც დაენიშნებათ. მოგეხსენებათ, ადრე ამგვარ ყურადღებას მოკლებული ვიყავით. ქალაქის ხელმძღვანელობა სამომავლოდაც გვპირდება თანადგომას და ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია.

**— რაც ბრძანეთ, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ თქვენი მთავარი პრობლემა სათამაშო დარბაზია...**

— დარბაზის პრობლემა მართლაც ძალიან გვაწუხებს. ჩემპიონატის მატჩების გასამართად ქალაქში ასეთი არც მოიძებნება. სპორტსკოლის დარბაზი, სადაც ადრე გვითამაშია და დღესდღეობით რეგულარულად ვვარჯიშობთ, კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. იყო დაპირება, რომ დარბაზს საოქტომბროდ მოაწესრიგებდნენ, მაგრამ სარემონტო სამუშაოები გადაიდო. როგორც გვითხრეს, ნოემბრიდან აქ ერთ-ერთი ამერიკული სამშენებლო ფირმის წარმომადგენლები შემოვლენ და სამ-ოთხ თვეში, ანუ საგაზაფხულოდ მოიღევენ საქმეს. ვნახოთ, მანამდე კი საშინაო კალენდარული თამაშების გამართვა დედაქალაქში მოგვიწევს.

**— კი, მაგრამ, რატომ, თქვენ ხომ ბათუმში აპირებდით თამაშს და „ბასკოს" მესვეურებიც არ იყვნენ ამის წინააღმდეგნი?**

— ქალაქის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ასე.

**— ახლა გუნდზეც ვთქვათ. რამდენად მომზადებული ხვდებით ჩემპიონატს?**

— ჩვენს პირობებში რისი საშუალებაც გვქონდა, მოსამზადებლად არაფერი დაგვიკლია. ეს არის გუნდი მთლიანობაში გამოუცდელი, მეტწილად 18-20 წლის ბიჭებით არის დაკომპლექტებული და, ბუნებრივია, გაგვიჭირდება, მაგრამ უბრძოლველად არავის არაფერს დავუთმობთ.

**— მაინც, ვისი უფრო გეიმედებათ?**

— იცით, ყველასი, პერსპექტიული ბიჭები არიან. მათგან რამდენიმეს კი გამოვარჩევდი, მაგრამ ახლა თავს შევიკავებ. ჰო, მართლა, ვეტერანი მერაბ ნაცვლიშვილი მოვიდა ჩვენთან და გვჯერა, დაგვეხმარება.

**— გუნდში ყველა ქუთაისელი გყავთ?**

— თითქმის. სამტრედიიდან და ხონიდან გვყავს თითო მოთამაშე, შესაძლოა, ორი-სამი ბათუმელიც დავიმატოთ.

**— ჩემპიონატში გაგვიჭირდებაო, ბრძანეთ, მაგრამ კონკრეტული ამოცანა დასახული გექნებათ...**

— ექვსეულში მოსახვედრად უნდა ვიბრძოლოთ.

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**

# ევროლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი. II ტური 16-18 ოქტომბერი

### A ჯგუფი

**ეფესი 87:78 ბენეტონი**

ეფესი: ბრაუნი (26), ონანი (9), შტომბერგასი (11), ვექილოღლუ (2), თუნჩერი (2), ილმაზი, ოქური (22), კამბალა (15)
ბენეტონი: ნიკოლა (5), იდნი (11), სტოიჩი (9), პიტისი (8), მარკონატო (2), ბულერი (2), ჩიკალკინი (26), ტომიდი (15), ნახბარი

**უნიკახა 76:68 შარლერუა**

უნიკახა: როდრიგესი (16), მრშიჩი (13), ფილიპი (2), აბრამსი (9), ვასკესი (7), კაბესასი, გუროვიჩი (2), კორნგაი (13), ვეისი (3), სონკო (11)
შარლერუა: ელისი (6), როუვი (10), დესი (6), ჯერომი (12), ვან დე ვონდელი, პიუგინსი (11), სტასი (16), პოტერი (3), ენგელანტი (4)

**ალბა 69:88 ოლიმპიაკოსი**

ალბა: ი. ლუტკე (8), შულცე (2), პეშიჩი (23), ფელპსი (15), ოზთურქი (5), ზიდეკი (3), ალექსისი (13), ტორვარტი, პაპიჩი
ოლიმპიაკოსი: იელიჩი (9), პაპალუკასი (8), პაპანიკოლაუ (10), სავრასენკო (2), რიზაშე (9), ფორდი (28), ტომიჩი (8), ნიკაგბატსე, ფორესტი (6), დე მიგელი (8)

**შლიონსკი 79:65 მაკაბი**

შლიონსკი: ვინსონი (18), ფეტისოვი (17), ადომაიტისი (17), ტომჩიკი (13), ზიელინსკი (6), ეინიკისი (4), პოკინსი (2), ალანოვიჩი (2), ბინოში
მაკაბი: პენფელდი (11), ბურშტეინი (7), ჰაფმანი (7), შელეფი (7), მაკდონალდი (6), შარფი (6), ბეშოქი (5), საფარი (3), ვუიჩიჩი (2), პარკერი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 | 2 | 0 | 175:141 | 4 |
| შლიონსკი | 2 | 2 | 0 | 150:118 | 4 |
| უნიკახა | 2 | 1 | 1 | 170:166 | 3 |
| მაკაბი | 2 | 1 | 1 | 147:149 | 3 |
| ბენეტონი | 2 | 1 | 1 | 176:181 | 3 |
| ეფესი | 2 | 1 | 1 | 159:165 | 3 |
| შარლერუა | 2 | 0 | 2 | 121:147 | 2 |
| ალბა | 2 | 0 | 2 | 151:191 | 2 |

### B ჯგუფი

**ბარსელონა 69:85 კინდერი**

ბარსელონა: იასიკევიჩუსი (13), დიგბე, დე ლა ფუენტე (7), ოკულაია (10), რენციასი (8), როდრიგესი (1), ალსამორა, ეკონომუ (9), ნავარო, დუენიასი (3), კარნიშოვასი (18)
კინდერი: იარიჩი (1), რიგოდო (14), ჯინობილი (20), სმოდიში (7), გრიფინი (16), აბიო (5), ბეჩიროვიჩი (12), ფროზინი (2), ანდერსენი (8), ფერი

**ლონდონ თაუერზი 58:91 ოლიმპია**

ლონდონ თაუერზი: ჩუნგი (7), ვაიტი (17), მუნრი (5), მაიერსი (15), პიკი (11), კენტი (3)
ოლიმპია: ველში (15), მუეძინოვიჩი (13), პუკიჩი (12), გოლემაცი (11), ავოჯობი (11), ილიევსკი (8), ნიჩევიჩი (8), მოდრიჩი (7), უდრიჰი (4), **ბოისა** (2)

**პერისტერი 89:93 სკაილაინერზი**

პერისტერი: დინკინსი (21), პაპადატოსი (10), პელეკანოსი (9), იბეზა, პადაზოპულოსი, ვოიჩიკი (3), ცარცარისი (23), კარტერი (9), ანდერსონი (12), ეფტიმიუ (2)
სკაილაინერზი: სტანესკუ (13), შენენი (1), დიარა (2), გორეე (21), ვინტერმანტელი (4), როლერი (15), ოსტინი (22), იანკე, ლოხმანჩუკი (15)

**ჟალგირისი 79:82 ულქერი**

ჟალგირისი: გუსტასი (2), ხიჟნიაკი (20), ვუდბერი (7), აინჯი, სალენგა (13), მარჩულიონისი (8), სლანინა (21), იურკუნასი (8)
ულქერი: ლოლისი (15), ფარსი (12), შტელმაპერსი (7), გოლიოვიჩი (18), ერდენი (13), აჩიკი (8), **ფაჩულია**, გონლუმი (2), ილდირიმი (7), გიულერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 2 | 2 | 0 | 175:123 | 4 |
| ულქერი | 2 | 2 | 0 | 189:143 | 4 |
| ოლიმპია | 2 | 2 | 0 | 172:132 | 4 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 157:159 | 3 |
| სკაილაინერზი | 2 | 1 | 1 | 167:177 | 3 |
| პერისტერი | 2 | 0 | 2 | 163:174 | 2 |
| ჟალგირისი | 2 | 0 | 2 | 133:172 | 2 |
| ლონდონი | 2 | 0 | 2 | 122:198 | 2 |

### C ჯგუფი

**რეალი 87:93 კრკა**

რეალი: ლოპესი (22), ერეროსი (9), ლ. ანგულო (6), სტრიულენსი (4), ტარლაჩი (9), დუშან ვუკჩევიჩი (20), ტაბაკი (3), იტურბე (10), ჯორჯევიჩი (4), ლორენტე, ა. ანგულო
კრკა: ლაკოვიჩი (38), გნიდიჩი (4), გრუმი (9), დევისონი (8), სკულინი (8), დრობნიაკი (5), სამანიჩი (7), იელესიევიჩი, მირკოვიჩი (4), ანზულოვიჩი (6), ჩაპინი (4)

**სკიპერი 109:79 ბუდუჩნოსტი**

სკიპერი: კელესტენდი (2), ბაზილე (14), ფუჩკა (19), ევტიმოვი (17), სავიჩი (8), მენეგინი (11), მილიჩი (17), გალანდა (16), პილუტი (3), პეკია (2)
ბუდუჩნოსტი: არსიჩი (2), რადონიჩი (3), რაკოჩევიჩი (10), შეკულიცი (2), დრაგან ვუკჩევიჩი (9), რადუნოვიჩი (4), კუზმანოვიჩი (19), მილოევიჩი (2), ჩაბარკაპა (7), პეიჩინოვიჩი (7), იევსტრატიევიჩი (14)

**ცსკა 85:91 პანათინაიკოსი**

ცსკა: გირიჩეკი (20), დომანი (13), ალექსეევი (2), თურქჯანი (17), რ. როჯერსი (2), მორგუნოვი (8), პაშუტინი (10), მაკენტსი (11), სავკოვი (2)
პანათინაიკოსი: მულაომეროვიჩი (10), ბოდიროგა (17), ქუთლუაი (26), ალბანო (6), პაპადოპულოსი (8), ალვერტისი (15), ჯ. როჯერსი (5), დ. მიდლტონი (2), სანჩესი

**ზადარი 79:83 პო ორტეზი**

ზადარი: პოპოვიჩი (13), რობინსონი (17), პერინჩიჩი (10), მარცელიჩი (8), რუჟიჩი (18), ოდუკი (8), გრგატი (5)
პო ორტეზი: ფოტუ (17), ლუკოვსკი (13), მ. პიეტრუსი (6), ესტელერი (11), დ. გადუ (7), ლუისი (4), დიავი (6), მილინგი, სელერსი (19)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 2 | 2 | 0 | 172:155 | 4 |
| პო ორტეზი | 2 | 2 | 0 | 174:162 | 4 |
| სკიპერი | 2 | 1 | 1 | 179:160 | 3 |
| რეალი | 2 | 1 | 1 | 169:165 | 3 |
| კრკა | 2 | 1 | 1 | 184:181 | 3 |
| ზადარი | 2 | 1 | 1 | 173:174 | 3 |
| ცსკა | 2 | 0 | 2 | 168:182 | 2 |
| ბუდუჩნოსტი | 2 | 0 | 2 | 151:191 | 2 |

### D ჯგუფი

**აეკ 106:70 პარტიზანი**

აეკ: ჰოლდენი (10), პანტელიადისი (11), ზისისი (7), ტაპუტოსი (12), კომაზეცი (22), ხაძისი (6), კიკილიასი, დიკუდისი (14), ბილბა (1), ძიარასი (2), ბეტსი (14), კაკიუზისი (7)
პარტიზანი: შჩეპანოვიჩი (13), ნადფეი (4), გაიჩი (2), ოსტოიჩი (4), სტანოევიჩი (24), მატერიჩი (4), კრსტიჩი (4), ვუიანიჩი (2), ავდალოვიჩი (2), ჩანაკი (11)

**სკავოლინი 88:75 ციბონა**

სკავოლინი: ბერიჩი (23), ბუკერი (19), გიგენა (4), ლ. მიდლტონი (6), ტრაინა (5), ტუშეკი (10), მაჯოლი, ბლერი (21)
ციბონა: ლონგინი (3), პრკაჩინი (7), ბოუმენი (15), პლანინიჩი (9), მაჩე (15), ფრიმენი (15), ჯიდიჩი (7), ოკუნსკი (4)

**ტაუ 90:66 ვილერბანი**

ტაუ: სკოლა (19), ნოჩიონი (2), ბენეტი (3), ფორესტი (20), ვიდალი (4), ტიმინსკასი (4), ტომაშევიჩი (17), ობერტო (16), კორჩიანი (5)
ვილერბანი: რადულოვიჩი (12), სი (4), ადემანსა (2), ბონატო, მრაზეკი (7), პილი (21), ნესი (4), ფრიგუ (14), პოფმანი, მაკგი (2)

**ოსტენდე 79:84 ურალ გრეიტი**

ოსტენდე: მაიორი, ვან პაასენი (6), ბეგინი (12), ჩიზმიჩი (10), გედრაიტისი (18), ბიგსი (13), ელიოტი (2), პრაშკევიჩუსი (18)
ურალ გრეიტი: პანოვი (9), კარასიოვი (16), ვაიშვილა (9), მიხაილოვი (18), სირვიდისი (4), პეგუშინი, ავლეევი (10), დაინეკო (18), პეტრაიტისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ურალ გრეიტი | 2 | 2 | 0 | 183:167 | 4 |
| აეკ | 2 | 1 | 1 | 190:156 | 3 |
| ტაუ | 2 | 1 | 1 | 185:162 | 3 |
| სკავოლინი | 2 | 1 | 1 | 176:173 | 3 |
| ციბონა | 2 | 1 | 1 | 171:183 | 3 |
| ვილერბანი | 2 | 1 | 1 | 152:174 | 3 |
| პარტიზანი | 2 | 1 | 1 | 156:183 | 3 |
| ოსტენდე | 2 | 0 | 2 | 156:170 | 2 |

# ბაირამი მოსკოვში



სკიპერი — ბუდუჩნოსტი. სკიპერელი გრეგორ ფუჩკა ტარყო ჩაბარყაპას გაექცა

**კალათბურთში** შინ მოთამაშე გუნდს რომ დიდი უპირატესობა აქვს, ცნობილი ამბავია. თუმცა თურქეთი ამ მხრივ გამონაკლისია, რადგან იქ თამაში ორმაგად ძნელია და ამის დასტურად ახლახან დამთავრებული ევროპის ჩემპიონატიც კმარა. ოთხშაბათს კი „ეფესმა“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე თამაშისას ფავორიტი მხოლოდ მასპინძელია.

ოთხშაბათს სტამბოლის „ეფესი“ ევროთასებზე 250-ე შეხვედრას ატარებდა და შინ გამართული ბოლო 24 შეხვედრაში მარცხი რა იყო, არ იცოდა. მისი მეტოქე იტალიის ჩემპიონატის ლიდერი ტრევიზოს „ბენეტონი“ გახლდათ, რომელიც ცხადია, იოლად არაფერს დათმობდა. ეს პირველმა მეოთხედმაც ცხადყო, როცა ხუთი წუთის შემდეგ სერგეი ჩიკალკინის აქტიურობას სტუმართა დაწინაურება მოჰყვა — 12:18. ეს იყო, რაც იტალიელებმა მოახერხეს. ამის შემდეგ თურქებმა თავი გამოიდეს და ჯერ ანგარიში გაათანაბრეს — 26:26, ხოლო მერე მარკუს ბრაუნის სამქულიანების წყალობით პირველი ნახევარი 48:42 მოიგეს.

მესამე მეოთხედში მასპინძლების შეჩერება იტალიელთათვის უდიდესი პრობლემა შეიქნა. მეჰმეთ ოქური და კასპარას კამბალა თავისუფლად ნავარდობნენ სტუმართა ნახევარზე. მათ ხელს ზუსტი სამიანებით ბრაუნიც აშველებდა და სტამბოლელთა უპირატესობა ბოლო მეოთხედის შუაწელში თვალშისაცემი გახდა — 71:57. იტალიელები ამას არ შეუშინებია და ჩიკალკინისა და ალან ტომიდის მეცადინეობით „ბენეტონმა“ მომდევნო მონაკვეთი 13:5 მოიგო და ბოლოს თამაში დაძაბა — 76:70, მაგრამ თურქები იმის ჩიტები არ იყვნენ, ბოლო წუთებში ექვსქულიანი უპირატესობა ვერ შეეშნოთ. კამბალამ ტაიუს იდნის ჩაუჭრა და ანგარიშში სხვაობაც ათამდე გაზარდა — 80:70, „ეფესმა“ კი შინ ზედიზედ 25-ჯერ გაიმარჯვა.

ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა მოსკოვში, ცსკა-სა და „პანათინაიკოსს“ შორის. თამაში პირველ ნახევარში მეტად დუნედ მიმდინარეობდა. ორივე გუნდი დაცვას მეტ ყურადღებას უთმობდა. თუმცა ამ კომპონენტში მათი შედარება არ შეიძლება. რადგან მოსკოველთაგან განსხვავებით, ათენელთა ზონა შეურყევლად იდგა. ახალგაზრდა პაპადოპულოსიც ჰაერში გამეფდა და სტუმრებმაც ხელთ იგდეს ლიდერობა. თუმც რუსებიც არ იყვნენ ბეჩავნი და 12:25 ჩამორჩენის შემდეგ შეძლეს ვარსკვლავებით გადაჭედილ კლუბს კვალში ჩადგომოდნენ. დეიან ბოდიროგასა და დამირ მულაომეროვიჩის ქულებს მირსად თურქჯანი სიზუსტითვე პასუხობდა და ანგარიშში სხვაობა პირველი ნახევრის დამთავრებამდე 5-8 ქულაში მერყეობდა, საბოლოოდ — 33:38.

მესამე მეოთხედი და ცსკა-ს იბრაჰიმ ქუთლუაის მიერ გაპამპულება ერთად დაიწყო. ორიოდ წამში „იბომ“ თავისი პირველი სამიანი მოათავსა არმიელთა კალათში. აღსანიშნავია, რომ თურქი პირველი ნახევრის შემდეგ თავის გუნდში 2 ქულით ყველაზე ნაკლებშედეგიანი იყო, ხოლო მესამე ათწუთეულის დამთავრებისას ის უკვე „პანათინაიკოსის“ ბომბარდირი გახლდათ. მოსკოველთა ნახევრის მარჯვენა ფრთაზე ქუთლუაიმ ფრთები გამოიბა და ტყუპისცალი გარლვევებით არაერთხელ შეარხია ცსკა-ს ფარის ბადე.

ბოლო მეოთხედის წინ ანგარიში 49:61 იყო და როცა თურქჯანმა ისიც სამი ქულით დაიწყო, ჟელკო ობრადოვიჩმა მანამდე აქტიური ბოდიროგა მოედნიდან გაიხმო. ამას კი თურქჯანისა და მორგუნოვის გალაღება მოჰყვა და მასპინძლები „მწვანეებს“ მიუახლოვდნენ — 70:75. ობრადოვიჩმა მოედანზე უმალ ბოდიროგას დააბრუნა და ქუთლუაის შეუწყვილა, ისინი შეტევას არ აფუჭებდნენ, რასაც თურქჯანი და მანამდე ჩრდილში მყოფი დმიტრი დომანი ზუსტი ორქულიანებით ეხმაურებოდნენ. ამიტომ ანგარიშში სხვაობა არ იცვლებოდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო წუთნახევარში დაცვაზე არც ერთი გუნდი აღარ ფიქრობდა და ანგარიშიც განუხრელად იზრდებოდა. რუსებს საბოლოოდ ყელი ფრაგისკოს ალვერტისის სამქულიანმა გამოჭრა, რომელმაც ბოლო წამებზე ანგარიში მოსკოველთათვის მიუწვდომელი გახადა.

ცსკა-სგან განსხვავებით, კვლავ იგებს „ურალ გრეიტი“, რომელმაც ბოლო მეოთხედში გატეხა ბელგიური „ოსტენდე“. მთელი თამაში ქულა ქულაზე მიდიოდა და უკანასკნელი ათწუთეულის წინაც ანგარიში 46:46 იყო. მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს და ანდრიუს გედრაიტისის სროლის შემდეგ წინ გავიდნენ. მაგრამ მალე ბელგიელებს ყველაზე შედეგიანი, პრაშკევიჩუსი გაუძევეს და მის არყოფნაში ტეო ჩიზმიჩს ერთობ გაუჭირდა. ერთხანს იგი უძალიანდებოდა რუსთა უპირობო ლიდერ ვალერი დაინეკოს და თავისიანები 73:69 დააწინაურა, თუმცა ბელარუსის მეოხებით სტუმრები სირენამდე ორი წუთით ადრე 79:77 იგებდნენ. მასპინძლებმა ბოლო იერიში მიიტანეს პერმელებზე, თუმც ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში ანდრიუს გედრაიტისმა ვერ ივარგა, ბურთი დაკარგა და ვაიშვილას საშუალება მისცა, გამარჯვებისა ჩაეგდო.

ბოლო მოელო „ციბონას“ ნავარდს. გრანდების დაწვენის შემდეგ ზაგრებული კლუბი თვითონ აღმოჩნდა იტალიური „სკავოლინისგან“ წაქცეული. უკვე მეხუთე წუთზე ანგარიში 16:2 იყო. პეზაროელებისგან განსაკუთრებით მიროსლავ ბერიჩი გამოირჩეოდა, რომელსაც ბუკერის სანახაობრივი თამაშიც ემატებოდა და პირველ მეოთხედში ციბონელთა საქმე უკვე მოთავებული ჩანდა — 30:12. სტუმრებმა თამაშის შუაწელში გაიფართხალეს, როცა ერთი მონაკვეთი 13:4 მოიგეს და იტალიელებს 11 ქულით მიუახლოვდნენ, თუმც ამან არ იკმარა. ფრიმან-ბოუმენის დუეტს აშკარად აჯობა ბერიჩ-ბლერის ტანდემმა და ხორვატთა გმირული ეპოპეაც დასრულდა — 88:75.

ევროლიგის მეორე ხორვატული გუნდი „პო ორტეზს“ მასპინძლობდა. „ზადარმა“ საშინლად დაიწყო და დებიუტში 0:8 ჩამორჩა. ამ დროს რუმილ რობინსონმა მიზანი გაისწორა და მისი ორი სამქულიანის შემდეგ თამაში კალაპოტში ჩადგა — 8:8. ფრედერიკ ფოტუს ძალისხმევით ფრანგები კი დაწინაურდნენ, მაგრამ სოლიდურად წინ გაჭრა ვერ მოახერხეს. ამაში სტუმრებს ტომისლავ რუჟიჩი და დავორ მარცელიჩი ეწინააღმდეგებოდნენ. მატჩის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება რომ მოახერხეს — 72:72. ბოლო წუთზეც მშვიდობა იყო — 77:77, როცა პოელმა დრაგან ლუკოვსკიმ თავისიანები ორი ქულით დააწინაურა. რობინსონი დამარცხებას არ შეეპუა, მაგრამ მისი გამთანაბრებელი ორქულიანი „ზადარისთვის“ ბოლო ჩაგდებული ბურთი აღმოჩნდა. გამარჯვებისა კი ყმაწვილმა ბორის დიავმა გაისროლა.

რომ არა ალფონსო ფორდი, გერმანელებისათვის კიდევ შეიძლებოდა „ოლიმპიაკოსის“ დამარცხებაზე ფიქრი, მაგრამ ეს კალათბურთელი ოთხშაბათს ბერლინში, „მაქს შმელინგ ჰალეში“ იყო და ალბელებს რისხვად დაატყდა თავს. სწორედ ფორდის დამსახურებაა, რომ პირეოსელებმა მეორე მეოთხედში გატეხეს მასპინძლები და მიაღწიეს რა 15-ქულიან უპირატესობას, იგი ხელიდან აღარც გაუშვიათ. ვერც მარკო პეშიჩისა და ვენდელ ალექსისის ზუსტმა სამქულიანებმა უშველა გერმანელებს, რომლებმაც მეორე მატჩიც წააგეს ევროლიგაში.

B ჯგუფს სათავეში ქართველთა კლუბები ჩაუდგნენ, რომლებმაც გასვლაზე იმარჯვეს. „ულქერს“ გაუჭირდა კაუნასელთა ძლევა, თუმცა საბოლოოდ მოახერხა მოგება — 79:82. საწყენია, რომ მცირე ხნით მოედანზე მყოფმა ზაზა ფაჩულიამ ქულების მოხვეჭა ვერ მოახერხა. მისგან განსხვავებით, ვლადიმერ ბოისამ კი შეძლო „ლონდონ თაუერზის“ ფარის დალაშქვრა, მაგრამ ოდენ ერთხელ. „ოლიმპიამ“ კი პირისაგან მიწისა აღგავა ლონდონური კლუბი და მის სისუსტეს საბოლოოდ მოჰფინა ნათელი.

თუმც ლონდონელთა სირცხვილი ახლოს ვერ მივა იმ ამბავთან, რაც მადრიდელებს სლოვენიურ კრკა-სთან დაემართათ. „რეალმა“ შინ წააგო გუნდთან, რომელიც სლოვენიაში მოწინავეთა შორის კი არის, მაგრამ ევროპის გრანდებთან მისი ხსენება უხერხულია. თქმა არ უნდა, ესპანელებს ეს მოწინააღმდეგის შეუფასებლობითა და ზედმეტი თავდაჯერებულობით მოუვიდათ, მაგრამ საკითხავია, ისინი სერიოზულადაც რომ მისდგომოდნენ ამ მატჩს, შეძლებდნენ თუ არა სტუმართა უკანახაზელის, იაკა ლაკოვიჩის შეჩერებას, რომელმაც ლამის მარტომ მოუგო ვარსკვლავებით გადაპენტილ ესპანურ გრანდს. ამის დასტურად კი ისიც კმარა, რომ მან 38 ქულა ჩააგდო, ხოლო მის შემდეგ ყველაზე შედეგიანი ნოვომესტოელთაგან 9 ქულის მომხვეჭი სამო გრუმი იყო.

მადრიდელთა ბედი გაიზიარა მისმა მოსისხლე მტერმა „ბარსელონამ“, რომელიც თავიდან კი უგებდა იტალიურ „კინდერს“, მაგრამ ემანუელ ჯინობილისა და რაშარდ გრიფიტის ზუსტ სროლებს ვერაფერი მოუხერხა და მატჩი უსახურად დაასრულა — 69:85.

მეტად უცნაური ვინმეა „სკიპერის“ მწვრთნელი მატეო ბონიჩოლი. მავანს რომ მისთვის მესამე მეოთხედის ბოლოს შეეხედა, როცა იგი თავის სამწყსოს დაძაბული და განერვიულებული ხმამაღლა უხსნიდა, როგორ გაეთამაშებინათ მორიგი კომბინაცია, აუცილებლად იფიქრებდა, იტალიელები ან აგებენ, ანაც მათი საქმე კარგად ვერ არისო. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი. „სკიპერი“ 30 ქულას იგებდა და საბოლოოდაც ამღენივეთი იმარჯვა — 109:79.

**ირაკლი ბერტაია**

## NBA. საგამოფენო მატჩი


AP მემფისიდან

მაიამელი ბრაიან გრანტი ლორენცენ რაიტს გაურბის

# სტეფანია დათვებს დაერია

18 ოქტომბერი

**მემფისი 110:106 მაიამი**

**მემფისი:** ვილიამსი (6), დიკერსონი (11), ბეტიე (7), სვიფტი (14), რაიტი (22); სოლომონი (20), გასოლი (11), მასენბურგი (9), კოლინზი (4), ნოტრი (3), ფოციცი (2), ნაითი (1), რივზი

**მაიამი:** ჰაუსი (24), გილი (7), დევისი (17), ალენი (7), გრანტი (10 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი); სტეფანია (15 წუთი, 15 ქულა, 4 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 1 დაფარება), ბრაუნი (11), ბაფორდი (7), ჰამილტონი (4), ფრენდი (2), ჯეიმსი

„სტეფანია ბრწყინვალე იყო“ — „მაიამი ჰითის“ მეორე მწვრთნელს, სტენ ვან განდის ამის მეტი საქებარი არაფერი წამოსცდენია „მემფისთან“ მარცხის შემდეგ. ვან განდი პატ რაილის ცვლიდა, რომელსაც ოჯახური პრობლემები მოსძალებია და თავის გუნდს მემფისში ვერ ჩაჰყვა. უთავოდ დარჩენილმა „ჰითმა“ 106:110 წააგო უსახურ „მემფის გრიზლიზსთან“ საგამოფენო მატჩში, რამაც ვან განდი გააცოფა და ამასთან, შეაშფოთა. ნამატჩევს მან მხოლოდ ჩვენებური ვლადიმერ სტეფანია შეაქო, მერე კი თქვა: „როდესაც მეტოქე 110 ქულას ჩაგიგდებს, სეზონისთვის მზადყოფნაზე ლაპარაკი ზედმეტია. მეტოქეზე დაჯარიმების გარდა სხვა გამოსავლის პოვნაც უნდა შეგეძლოს. მარტო პირველ მეოთხედში 38 ქულა მივიღეთ, საშინელებაა... იმედი მაქვს, პატი არ უყურებდა ამ თამაშს. შესაძლოა ამათ გამო სამსახური დავკარგო“. ვან განდიმ შემდგომ გახუმრებაც სცადა, მაგრები ვართ, მეტოქეს 106 ქულა ჩავუგდეთო. როგორც ჩანს, მუდმივ აუტსაიდერ „გრიზლისთან“ წაგებამ ვან განდის თავმოყვარეობა შეულახა.

რაც საგამოფენო მატჩები დაიწყო, „მემფისს“ არ წაუგია. „დათვები“ ყველა შეხვედრას საბრძოლო შემადგენლობით ატარებენ და მოსაგებად თავს არ ზოგავენ, რაც გასაგებია. „გრიზლიზი“ ორიოდ თვეა, რაც ქალაქ ვანკუვერიდან მემფისში გადაბარგდა და აქაურთათვის თავის მოწონებას ცდილობს. ყინჩად მავალ „დათვებს“ „მაიამი“ ძირითადი შემადგენლობის ოთხი მოთამაშის გარეშე შეება. ვან განდიმ ათამაშა ორი სრულიად უცნობი ჯეელი — ფრენდი და ჰამილტონი, სასტარტო ხუთეულში დააყენა მალიკ ალენი და მერე მარცხმა გააკვირვა.

ვან განდიმ ვოვა სტეფანია 15 წუთით შეუშვა მოედანზე. მას აქეთ, რაც „ჰითის“ 50-ნომრიანი მაისურა მოირგო, ვოვას ასე კარგად არ უთამაშია. აკი შეაქო კიდეც მწვრთნელმა. 15 წუთში 15 ქულა შესანიშნავი შედეგია, ვოვამ თამაშიდან შვიდი სროლიდან ხუთი ჩააგდო, ზუსტად ასევე ისროლა საჯარიმოები და დაცვაშიც იყოჩაღა, რასაც ვერ ვიტყვით მის თანაგუნდელებზე. ისინი „დათვების“ შეტევებს იმით პასუხობდნენ, რომ წამდაუწუმ, უთავბოლოდ ჯარიმდებოდნენ. ეს კი ყველაზე ცუდი გამოსავალი იყო, რადგან საჯარიმო ხაზთან დამდგარ მასპინძლებს ხელი არ უკანკალებდათ. მოედანზე გამოჩენილმა თორმეტმა მაიამელმა 35 ჯარიმა აიკიდა (ალენმა და ჰაუსმა — ექვს-ექვსი). მემფისელებმა აქედან 37 ქულა გამოადნეს (48 შესაძლებლობიდან) და სწორედ ამის წყალობით მოიგეს.

მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. საფინალო სირენამდე 27 წამით ადრე „დათვების“ ცენტრმა ლორენცენ რაიტმა ხუთი მეტრიდან იყოჩაღა და 106:106 გაათანაბრა. დარჩენილ დროში სტუმრებმა ორჯერ დაჯარიმება მოასწრეს ახალბედა ვილი სოლომონზე, ამანაც ოთხივე ჩააგდო და „მაიამის“ ოთხ თამაშში მესამე მარცხი აგემა.

**ირაკლი ფირაშვილი**


## იყიდება

ერთოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა

ვაზისუბნის IV მ/რ. II კვ. მე–5 სართული

ტელ: 75 99 49






## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# 23 წამის დრამა

18 ოქტომბერი

**აილენდერსი 2:1 კაროლინა (1:0 0:0 0:1 1:0)**

1:0 პერიში 14 (9), 1:1 ვასიჩეკი 42 (1), 2:1 მარტინეკი 64 (1)

**ნეშვილი 3:5 ჩიკაგო (2:3 1:0 0:2)**

1:0 ფიცჯერალდი 9 (1), 1:1 ტომასი 11 (1), 2:1 ლეგვანდი 13 (1), 2:2 კოლდერი 15 (2), 2:3 კოროლიოვი 16 (1), 3:3 იაჩმენევი 22 (1), 3:4 დაზე 59 (5), 3:5 ტომასი 60 (2)

**კალგარი 3:1 ფლორიდა (3:0 0:0 0:1)**

1:0 იგინლა 8 (2), 2:0 იგინლა 10 (3), 3:0 მენტუნენი 20 (1), 3:1 ნოვოსელცევი 53 (2)

**ვანკუვერი 5:6 ტორონტო (1:2 2:2 2:1)**

0:1 კორსონი 5 (3), 0:2 მოგლუნდი 12 (4), 1:2 ნესლუნდი 12 (3), 1:3 კორსონი 16 (4), 2:3 კლეტი 25 (5), 2:4 მაკოლი 26 (2), 2:5 ბერგი 29 (1), 3:5 ოლუნდი 35 (1), 3:6 რობერტსი 42 (2), 4:6 ნესლუნდი 46 (4), 5:6 ნესლუნდი 50 (5)

**ოტავა 0:3 პიტსბურგი (0:1 0:0 0:2)**

0:1 სტრაკა 7 (4), 0:2 რიშე 44 (1), 0:3 ლანგი 60 (5)

**ნიუ ჯერსი 6:1 სან ხოსე (1:1 4:0 1:0)**

0:1 სელიანე 1 (2), 1:1 ელიაში 6 (1), 2:1 დაჟენე 21 (1), 3:1 ელიაში 26 (2), 4:1 არნოტი 28 (3), 5:1 ელიაში 32 (3), 6:1 არნოტი 45 (4)

**დალასი 3:1 ფინიქსი (0:0 2:1 1:0)**

0:1 მარა 23 (2), 1:1 ტარჯონი 28 (1), 2:1 ტარჯონი (29 (2), 3:1 ვან ალენი 60 (1)

**კოლორადო 1:4 ედმონტონი (1:0 0:3 0:1)**

1:0 ბლეიკი 11 (2), 1:1 კომრი 22 (3), 1:2 კარტერი 30 (3), 1:3 კარტერი 38 (4), 1:4 შ. ბრაუნი 52 (1)

**ლოს ანჯელესი 4:1 ანაჰაიმი (1:0 0:1 3:0)**

1:0 მოლინსკი 19 (2), 1:1 ტიტოვი 30 (1), 2:1 გ. მიურეი 53 (3), 3:1 მაინცი 54 (4), 4:1 გ. მიურეი 60 (4)

**დეტროიტი 3:2 ფილადელფია (0:1 1:1 2:0)**

0:1 რენიკი 3 (2), 1:1 რობიტაილი 26 (4), 1:2 მ. მიურეი 35 (1), 2:2 ფიოდოროვი 60 (4), 3:2 ჰალი 60 (3)

ფილადელფიას დეტროიტში 13 წელი არ მოეგო. ამ ხნის განმავლობაში „მფრინავები“ 12-ჯერ ჩავიდნენ ძრავების ქალაქში და მხოლოდ ორ ფრეს გამოჰკრეს ხელი. და აი, ახლა, პირველად 1988 წლის შემდეგ, ფილადელფია ახლოს იყო მოგებასთან, მაგრამ...

მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე დეტროიტელებმა თამაშის გადარჩენის ბოლო ხერხს მიმართეს. დომინიკ ჰაშეკმა სათადარიგოთა სკამს მიაშურა და ყინულზე მეექვსე მოთამაშე გავიდა. შაიბის ზონაში ჩაგდების შემდეგ მას ბრენდან შენაჰანი (პასით ქულიანი სერია 7 მატჩამდე გაზარდა) დაეუფლა. მერე ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მანამდე ჩინებულად მოთამაშე ბრაიან ბუშეს წამიერი შეყოვნება ძალიან ძვირად დაუჯდა — შენაჰანის პასი და სერგეი ფიოდოროვის მოულოდნელი გასროლა. საფინალო სირენამდე 40 წამი რჩებოდა. ასეთ დროს გუნდები უმეტესწილად ფხიზლობენ და ოვერტაიმს ელიან-ხოლმე, მაგრამ მოხდა საოცარი რამ. დეტროიტელთა ცბიერმა თავკაცმა სკოტი ბოუმენმა ტაიმაუტი აიღო და... ზუსტად 23 წამში წინამორბედის მსგავსი კომბინაცია გათამაშდა და სახელგანთქმულმა გოლეადორმა ბრეტ ჰალმა იმავე წერტილიდან იმავე კუთხეში გაგზავნა შაიბა.

„მე ვერც პასი დავინახე, ვერც ჰალის დარტყმა“ — მატჩის შემდეგ თავს იმართლებდა ბუშე. არადა, ფილადელფია ოვერტაიმს ნამდვილად იმსახურებდა. უაღრესად საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლაში ორივე გუნდს ჰქონდა მოგების შანსი. პირველ მესამედში სტუმრები მძლავრობდნენ, მაგრამ ჰაშეკმა ყველაზე ცოტა ხუთჯერ მაინც იხსნა თავისიანები, მხოლოდ ჯერემი რენიკის დარტყმული შაიბა გაეპარა, რომელმაც ჰაერში მიმართულება იცვალა.

მეორე პერიოდშიც თითქოს სტუმრები აკონტროლებდნენ სიტუაციას, მაგრამ მათი პირველი უხეში შეცდომა ჰალმა და რობიტაილმა გოლად აქციეს. სხვათა შორის, ამ ორმა ლეგენდარულმა ჰოკეისტმა პირველად ითამაშა ერთ სამეულში, ხოლო მათი მესამე პარტნიორი სტივ აიზერმანი იყო. სწორედ ამ ტრიომ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

გოლის შემდეგ დეტროიტი ათამაშდა. ახლა უკვე ბუშეს მოუხდა თავისი ოსტატობის ჩვენება და თითქოს „წითელფრთიანთა“ მორიგი გოლიც მწიფდებოდა, მაგრამ მოულოდნელად შაიბა საპირისპირო კარში გავიდა. ორი დეტროიტელის გაძევებას ის მოჰყვა, რომ მარტი მიურეიმ ზუსტად ექვსი წლის შემდეგ ისევ გაიტანა ნჰლ-ში. მესამე მესამედში კი, რაც უფრო ნაკლები დრო რჩებოდა, მასპინძელთა შეტევებს მით უფრო აკლდებოდა სიმწვავე. ასე რომ, ფილადელფიას, წესით, უნდა მოეგო, მაგრამ იმ საბედისწერო ოცდასამმა წამმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

როგორც იქნა, მოიგო ნიუ ჯერსიმ. მათი პირველი ხაზი, ელიაში — არნოტსი — სიკორას (5 გოლი და 7 პასი) სამეული ამოქმედდა და ეს საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ კალიფორნიელ სტუმრებს სირცხვილი ეჭამათ. განსაკუთრებით პატრიკ ელიაშმა მოიწადინა, რომელმაც 3 გოლი და 2 პასი შეითვალა. მისი მეორე შაიბა კი ნამდვილად შთამბეჭდავი გახლდათ. 25 წლის ჩეხმა მცველი ოსტატურად ჩამოიშორა, შემდეგ ცრუმოძრაობით მეკარეც მიატყუა და შაიბა ცარიელ კარში გაგზავნა.

ვანკუვერს კი ლიდერის, მარკუს ნესლუნდის ჰეთ თრიქმაც ვერ უშველა. 46-ე წუთისთვის ტორონტო 6:3 იყო წინ და მასპინძლებიც თითქოს ბედს შეგუებულნი იყვნენ, მაგრამ მათ მსაჯი მარკ ლეგო დაეხმარა. მან ისეთ ეპიზოდში დანიშნა ბულიტი, რომ ტორონტოელთა მწვრთნელი პეტ ქუინი ერთობ ალაშფოთა. საქმე ასე იყო: კარს უკან მყოფი ნესლუნდი მცველმა წააქცია, ამასობაში კი მეკარე კერტის ჯოზეფს ხელიდან ყვანჯი გაუვარდა, რაც ლეგომ ბულიტის დასანიშნად საკმარისად მიიჩნია. ვანკუვერის კაპიტანმა საჯარიმო ჩინებულად შეასრულა, შემდეგ კი ენდრიუ კესელსის (3 პასი) დახმარებით სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ ტორონტოელებმა მაინც, თუმც დიდი გაჭირვებით, შეინარჩუნეს მოგება.

ოტავა — პიტსბურგის და აილენდერსი — კაროლინას ზედიზედ მეორე შეხვედრებში კვლავ წინა მატჩებში გამარჯვებულებმა იძლიეს. „პინგვინებმა“ ისევ სამშაიბიანი სხვაობით მოიგეს, ამჯერად — დაცვაში კარგი თამაშის წყალობით, რაზეც იოჰან ჰედბერგის 29 მოგერიებაც მეტყველებს. რიკ კეჰუს მეორე გამარჯვება გოლით გაალამაზა სტეფან რიშემაც, რომელიც ლიგაში ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა.

აილენდერსმა კი დაამტკიცა, რომ შინ თამაში სულაც არ უჭირს. ნიუიორკელებმა პირველ პერიოდში შავი დღე აყარეს კაროლინას, დარტყმების რაოდენობითაც (19:2) აჯობეს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ გაიტანეს და საბოლოოდ თამაშმა ოვერტაიმში გადაინაცვლა. იქ კი მასპინძლებმა თავიანთ სასიკეთოდ დაასრულეს საქმე და დებიუტანტ რადეკ მარტინეკის (ლიგაში პირველი გოლი) ძალისხმევით შინ პირველი გამარჯვება მოიპოვეს.

ჩემპიონმა კოლორადომ ექვსი მატჩიდან უკვე ნახევრის წაგება მოახერხა, თანაც მეორედ ედმონტონმა დაჩაგრა, რომელმაც წინა თამაშებისგან განსხვავებით რიცხვმრავლობა ჩინებულად გამოიყენა. ასევე რიცხობრივ, უპირატესობის ხარჯზე სძლია დალასმა ფინიქსს, რაც ახალწვეულ პიერ ტარჯონის დამსახურებაა.

**სამველ ლარიბიანი**

# იარომირ იაგრი: 8 წელიწადში 88 მილიონი

**სულ** რამდენიმე კვირა ატარა აილენდერსელმა ალექსეი იაშინმა ლიგის ყველაზე ძვირადღირებული ჰოკეისტის საპატიო ტიტული. ახლა რუსს რაღაც ნახევარი მილიონით იარომირ იაგრმა გაუსწრო, რომელმაც თავის ახალ კლუბ ვაშინგტონთან პრაქტიკულად კარიერის ბოლომდე, 2009 წლამდე, გააზნგრძლივა კონტრაქტი.

...სუპერჩეხმა ხუთშაბათს 8-წლიანი და 88-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა. ამჟამად მისი საშუალო ხელფასი 11 მილიონი დოლარია წელიწადში და ეს ლიგაში ყველაზე მაღალი ანაზღაურებაა. შეგახსენებთ, რომ იაშინი 10 წლის განმავლობაში 87,5 მილიონს მიიღებს, ესე იგი მისი წლიური შემოსავალი გაცილებით ნაკლებია. როგორც ჩანს, დედაქალაქური კლუბის მესვეურთათვის ეს ღირსების საკითხია.

„ჩვენ პერსპექტივაზე ვმუშაობთ და ძლიერი, სტაბილური გუნდის ჩამოყალიბება გვსურს, რომელიც წლების განმავლობაში იქნება საუკეთესოთა შორის“ — ამაყად თქვა პრესკონფერენციაზე გუნდის მფლობელმა ტედ ლეონსისმა. იგი მართლაც სერიოზული ადამიანი ჩანს, რადგან მოკლე ხანში კლუბის ყველა მნიშვნელოვან ფიგურასთან გააფორმა ხანგრძლივი კონტრაქტი, მათ შორის თავკაც რონ უილსონთან და მოთამაშეებთან — ოლაფ კოლციგთან და პეტერ ბონდრასთან.


REUTERS ვაშინგტონიდან

„ვაშინგტონის“ მფლობელი ტედ ლეონსისი და იარომირ იაგრი

ცხადია, იაგრიც უზომოდ კმაყოფილია. მუხლნატკენმა, მაგრამ ბედნიერმა ჩეხმა საჯაროდ დაიფიცა, რომ ხუთ წელიწადში აუცილებლად მოაგებინებს დედაქალაქს მის ისტორიაში პირველ თასს, თუმც ისიც დაამატა, ეგებ სამი წელიც გვეყოს ამისთვისო.

აღსანიშნავია, რომ იაგრის კონტრაქტი რამდენიმე დღის წინ იყო მზად, მაგრამ გუნდის მფლობელებმა იგი იურიდიულად მხოლოდ მაშინ დააფიქსირეს, როცა გუნდი ხუთმატჩიანი ვოიაჟიდან დაბრუნდა.

თანხა კი წლების მიხედვით ასე განაწილდება: ამ ორ სეზონში იაგრი ძველი კონტრაქტით გათვალისწინებულ 19,75 მილიონს მიიღებს, შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში კიდევ 57,25 მილიონით გამდიდრდება, ხოლო ორმხრივი სურვილის შემთხვევაში მე-8 სეზონს ჩაატარებს გუნდში და კიდევ 11 მილიონს ჩაიჯიბავს.

ამრიგად, „კეპიტალსის“ ხუთწლიანი გეგმა ამოქმედდა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, თვალი ვადევნოთ, შეასრულებს თუ არა მას იაგრი და კომპანია.

ექვსი ერის ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩი

# შიშისმომგვრელი დამთხვევა

დუბლინი. 20 ოქტომბერი

**ირლანდია — ინგლისი**

**გაზაფხულზე** თურქულის ეპიდემიის გამო გაწყვეტილი ექვსი ერის პირველობა დღეს დუბლინში ირლანდიისა და ინგლისის ნაკრებების შეხვედრით დასრულდება.

ტურნირის დაწყებიდან რვა თვეა გასული, მაგრამ მის მიმართ ინტერესი არ შენელებულა. 3 თებერვალს გამართულ პირველ ტურში ინგლისმა უელსში (44:15) იმარჯვა, ირლანდიამ კი იტალიაში მოიგო (41:22). დღესაც სწორედ ეს ნაკრებები ხვდებიან ერთმანეთს და სტუმრებს ექვსი ერის ჩემპიონატის პირველი დიდი სლემის შესრულების შანსი აქვთ.

ბრწყინვალე შეკინებისა და გარე ნახევარმცველის ჯონი უილკინსონის მეოხებით ალბიონელებმა უელსის მერეც არავინ დაინდეს და შოტლანდიასა და იტალიას 7 აპრილს საფრანგეთიც მიაყოლეს (48:19) თვიქნემში. იქიდან მოყოლებული ინგლისი დიდ სლემზე ოცნებობს. თუმცა არც წინა ორი წლის მწარე გამოცდილება ავიწყდება, როცა ბოლო მატჩში დაკარგა დიდი სლემი.

1999 წელს ისტორიაში ბოლო ხუთი ერის ჩემპიონატში უელსელი სკოტ გიბსის მიერ მატჩის უკანასკნელ წუთზე გატანილმა ლელომ წააგებინა ინგლისს, შარშან კი მარიფილდში შოტლანდიელებმა გაამწარეს უკვე ჩემპიონები და პირველი ექვსი ერის პირველი დიდი სლემი დააკარგვინეს.

ამჯერადაც შეუძლია ინგლისელთა ბოლო მეტოქეს მათი გამწარება. ირლანდიამ იტალიაში წარმატებიას ფრანგთა ძლევა მიაყოლა გაზაფხულზევე, რაც 1983 წლის შემდეგ ველარ მოეხერხებინა. „სამყურებიც" ოცნებობდნენ დიდ სლემზე, მაგრამ სექტემბერში მათ სკოტებმა გადაასხეს ცივი წყალი. თუმცა მას მერე უორენ გეტლანდის შეგირდებმა უელსი მშვენიერ სტილში დაამარცხეს გასულ შაბათს კარდიფის „მილენიუმზე" და თითქოს არც ინგლისთან უნდა იყვნენ მთლად უიმედოდ.

„მწვანეების" ახალზელანდიელმა დამრიგებელმა „წითლების" მძლეველი შემადგენლობა არ შეცვალა და ინგლისსაც იგივე ხალხს დაუპირისპირებს. გარე ნახევარმცველად ისევ დევიდ ჰემფრიზი იდგება რონან ოგარას მაგივრად, რადგან მან უელსთან ყველა დარტყმა ზუსტად შეასრულა და თავისიანების მიერ გატანილ სამიდან ორ ლელოშიც დაიდო წვლილი. ძირითადში დაიწყებს მატჩს ვეტერანი მორკინალი მაიკლ გოლვეიც, რომელსაც 35 წელი შეუსრულდა და „მანსტერის" ღირსებას იცავს.

ამ დუეტის გარდა ირლანდიელებს დიდად ეიმედებათ ბრაიან ოდრისკოლისაც, რომელსაც იქაური ჟურნალისტები ვირტუოზს ეძახიან.

ინგლისელებს კი ოპტიმალურ შემადგენლობასთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ. ტრავმების გამო დუბლინში ვერ ითამაშებენ მარტინ ჯონსონი და ლოურენს დალალიო, რომლებსაც ნაკრებისთვის უკაპიტნიათ. დალალიო კიდევ კარგა ხნით ვერ ითამაშებს, ჯონსონის მომჯობინებას კი უფრო მალე ელიან.

დღეს კაპიტნის სამკლავური ჯონსონის ნაცვლად მეტ დოუსონს ეკეთება, ისევე როგორც შარშანდელი ტურნირის ბოლო მატჩში შოტლანდიის წინააღმდეგ. ვერაფერს იტყვი, ცრუმორწმუნეთათვის შიშისმომგვრელი დამთხვევაა!

ბოლოს იმასაც დავამატებდი, რომ დოუსონი შარშანდელის მსგავსად მაინც ჩაიბარებს ჩემპიონისთვის განკუთვნილ თასს, რადგან ირლანდია 61 ქულით ნაღდად ვერ მოიგებს.

**ბაგი ბურული**



ინგლისელი მარტინ ჯონსონი და ირლანდიელი კიტ ვუდი ბრიტანელ ლომებში გვერდიგვერდ თამაშობდნენ

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ირლანდია:** დემპსი, ჰორგანი, მეგზი, ოდრისკოლი, ჰიკი, ჰემფრიზი, სტრინგერი; კლოჰესი, ვუდი, ჰეიესი, გოლვეი, ოკელი, მილერი, უოლესი, ფოლი
*სათადარიგონი:* შაჰი, ბირნი, ბრენანი, დოუსონი, ისტერბი, ოგარა, მალინზი

**ინგლისი:** ბოლშოუ, ლუგერი, გრინვუდი, კეტი, რობინსონი, უილკინსონი, მ. დოუსონი; ლენარდი, გრინინგი, ვაიტი, შოუ, გრიუკოკი, კორი, ბეკი, რ. ჰილი
*სათადარიგონი:* უესტი, როუნთრი, ბორსვიკი, მუდი, ბრაკენი, ო. ჰილი, პერი



# ღამენათევი პრიზიორის ამბავი

*ჭაბუკა მახარაძე 23 წლის ნიჭიერი კარატისტია. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონობაზე იუნიორთა და უფროსებს შორის რომ არაფერი ვთქვათ, მისი საერთაშორისო ტიტულებიც ბევრზე მეტყველებს.*

*ჭაბუკა მახარაძემ 1999 წელს მოსკოვში გამართულ იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდურ კატაში იპირველა. კავკასიის თასზე ჯერ ინდივიდუალურ კატაში, მერე გუნდურ კატაში მოიპოვა ოქროს მედლები. აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატზე უფროსებში ინდივიდუალურ კატაში, გუნდურ კატაში და გუნდურ კუმიტეში ჩემპიონობა არავის დაუთმო. აი, ინდივიდუალურ კუმიტეში, რომელშიც აბსოლუტურ კატეგორიაში გამოდიოდა, მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. შემდეგ იყო შარშან გამართული უკრაინის ღია პირველობა, სადაც ჭაბუკა მახარაძემ გუნდურ და ინდივიდუალურ კატაში კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიკავა.*

*5-7 ოქტომბერს თბილისმა ევროპის მესამე ჩემპიონატს უმასპინძლა კარატე-დოში. საქართველოს ნაკრებს ახალგაზრდა, მეტად პერსპექტიული კარატისტის დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ ჭაბუკა მახარაძემ თავისი შესაძლებლობების მხოლოდ ნახევარი გამოავლინა. მისი მონაგარი ინდივიდუალურ კატაში მეხუთე, გუნდურში კი მესამე ადგილია. ინდივიდუალურ კუმიტეში ჭაბუკამ თავიდან კარგად დაიწყო, საწყისი ორი ბრძოლა მოიგო, მესამეში კი დამარცხდა და მედლებს დაემშვიდობა. თუ რა იყო მიზეზი მისი არცთუ შთამბეჭდავი ასპარეზობისა და როგორ იყო ორგანიზებული ტურნირი, ამაზე თავად ჭაბუკა მახარაძე გვესაუბრება.*

— ჩემი აზრით, მეტის გაკეთება შემეძლო, მაგრამ თავი იჩინა არასაკმარისმა მომზადებამ და დაღლამ. ჩემპიონატის გახსნის წინადღეს საკმაოდ შრომატევადი სამუშაო შევასრულეთ. ჯერ ავაწყვეთ ირანიდან საგანგებოდ ამ ტურნირისთვის ჩამოტანილი ოთხი ტატამი, რასაც დიდი დრო შევალიეთ. მერე აეროპორტში დავხვდით უკრაინის და ბელარუსის დელეგაციებს, მოვაწყვეთ სასტუმროში, მაგრამ სტუმრები იქაურმა პირობებმა არ დააკმაყოფილა და გვიან ღამით სხვა სასტუმროს ძებნამ მოგვიწია. როგორც იქნა, ორივე დელეგაცია დავაბინავეთ. ამის გამო ტურნირის გახსნას უძილო შევხვდი და ამანაც იქონია გავლენა ჩემს არადამაჯერებელ ასპარეზობაზე. გარდა ამისა, ვერ გავიარე ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი. მხოლოდ ივლისში ვიყავი ორკვირიან შეკრებაზე ბაზალეთის სპორტულ კომპლექსში.

**— ეს რომ არა, ალბათ, უკეთეს შედეგს აჩვენებდი...**

— რა თქმა უნდა. საამისოდ გამოცდილებაც მაქვს და ოსტატობაც.

**— შენი აზრით, როგორ იყო ტურნირი ორგანიზებული?**

— საქართველოში ცხოვრების დონეს თუ გავითვალისწინებთ, ვფიქრობ, ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩატარდა. თავად იაპონიის კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტმა, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა ჰიტოში კასუიამ, რომელიც საპატიო სტუმრად იყო მოწვეული, შეგვიქო გარჯა და ჩემპიონატს კარგი შეფასება მისცა. იყო იქ რაღაც ნიუანსები, მაგრამ ეს ჩვენზე არ იყო დამოკიდებული. მაგალითად, ტურნირამდე ორი დღით ადრე ავიაკომპანია „SWISS AIR"-ს ფინანსური პრობლემები შეექმნა და რამდენიმე რეისი გაუქმდა, რის გამო ვერ ჩამოვიდნენ ჩეხეთის, პოლონეთისა და გერმანიის ნაკრებები.

**— სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

— ახლა მიწვეული ვარ უკრაინის ღია პირველობაზე. შარშანაც ვიასპარეზე იქ და კარგი შედეგიც ვაჩვენე. ვეცდები, ახლა მეტს მივაღწიო.

**— როგორც სხვა სპორტსმენებს, შენც ხომ არ გაგაჩნია საზღვარგარეთ წასვლის და უცხო ქვეყნის სახელით ასპარეზობის სურვილი?**

— ნამდვილად არა. ისე კი, შარშან უკრაინაში მთხოვდნენ, ოღონდ ჩვენთან დარჩი და ყველანაირ პრობლემებს მოგიგვარებთო. ახლაც მეუბნებოდნენ, წამოდიო, მაგრამ უარი ვუთხარი.

**ბაჩო სვანიძე**



ევროპის ჩემპიონი, კოსოვოელი ენის იდრიზი (მარცხნივ) და ჭაბუკა მახარაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა




ელენა დოკიჩი მეოთხედფინალში გავიდა

# უწყინარი ბელარუსი ელიტას აფორიაქებს

შტუტგარტი (გერმანია)
„მასტერსის სერია"
ჰარდი. საპრიზო 2,95 მილიონი $

მაქს მირნი თავს გავიდა. შტუტგარტის „მასტერსში" უსახელო ბელარუსს ყველაზე გაუვალი ჯუნგლების კაფვა უწევს, მაგრამ ვერაფერი ამუხრუჭებს: მან დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი გუსტავო კუერტენი, ვისაც მერვედფინალში უიმბლდონის ჩემპიონი გორან ივანიშევიჩი მიაყოლა. ახლა მირნი თავისუფლად იტყვის, ბედი მაქვს და სანეხვეზე გადამაგდეთო, რადგან 3 მატჩი მოიგო და სულ 6 (!) მატჩ-პოინტის გადარჩენა შეძლო. მირნი ბეწვზე ეკიდა უცნობი მოთამაშესთან საკვალიფიკაციო შეხვედრისას, მერე კუერტენსაც ერთი ჩაგდება აკლდა და ბელარუსს გააგდებდა, რაც სენსაცია სწორედ არ იქნებოდა და ბოლოს, 31 ეისის მიუხედავად, ივანიშევიჩმა მაინც ვერ გატეხა ბელარუსი, რომელმაც რკინის ნერვებით ბოლო ორი პარტია ტაიბრეიკში მოიგო. არადა, პირველ პარტიაში ხორვატის უპირატესობა აშკარა იყო.

24 წლის ლონიერი მირნის ფათერაკები არ დასრულებულა, მეოთხედფინალში პიტ სამპრასი ელის. ამერიკელ ჩოგბურთის გენიოსს, მეორე წელია, გამარჯვება დაავიწყდა, შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ ნამცეცა ტურნირიც არ მოუგია და ეს გარემოება „ჩემპიონთა რბოლაში" მის ადგილზე ცუდად მოქმედებს. ახლა სამპრასი სეზონის მაყორზე ჩამთავრებას ცდილობს და მერვედფინალში მარსელო რიოსს მოუგო.

გასაკვირია, მაგრამ ეს ორი ჩოგბურთელი ერთმანეთს მხოლოდ მეორედ შეხვდა, თუმც ორივე ყოფილა მსოფლიოს პირველი ჩოგანი და ზიარი ტურნირებიც ბლომად ჰქონიათ. გუშინწინ ჩილელმა ამერიკელი ფრიად შეაჭირვა, მოუგო პირველი სეტი და მეორე მხოლოდ ტაიბრეიკში დაუთმო. დასკვნითი სეტის დაწყებისთანავე რიოსმა სამპრასს მოწოდება აართვა და ამერიკელმა იგი გაჭირვებით დაიბრუნა. შემდეგ სამპრასმა მოიგო მე-9 გეიმი და მატჩის ბედი გადაწყვიტა.

„ნიჭიერი ბიჭია — თქვა სამპრასმა ასაკით უფროსის ტონით — ბევრი რამით აგასის მაგონებს". საუბარია ანდრე აგასიზე, რომელმაც შტუტგარტის „მასტერსი" უკვე დატოვა და კლასიფიკაციაში გაპირველობის შანსი დაკარგა. სამაგიეროდ, ბოლო მიზნისთვის ვეფხვივით იბრძვის ლეიტონ ჰიუიტი. 20 წლის ოზი მერვედფინალში არგენტინელ გილერმო კანასს მოერია.

მეოთხედფინალში ჰიუიტი სამხრეთაფრიკელ უეინ ფერერასთან ითამაშებს, რაც ერთგვარად ისტორიული შეფერილობის ფაქტია. შარშანდელ შტუტგარტის „მასტერსზე" ფინალი სწორედ ამ ორმა ითამაშა და 5-სეტიანი უმძიმესი ბრძოლა ფერერამ მოიგო.

**მერვედფინალი. ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — გილერმო კანასი (არგენტინა) 3:6, 6:1, 6:4; პიტ სამპრასი (9, აშშ) — მარსელო რიოსი (ჩილე) 4:6, 7:6(7:3), 6:4; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — სებასტიან გროჟანი (8, საფრანგეთი) 6:3, 3:6, 7:6(9:7); მაქს მირნი (ბელარუსი) — გორან ივანიშევიჩი (13, ხორვატია) 4:6, 7:6(8:6), 7:6(10:8); ტომი ჰაასი (16, გერმანია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 4:6, 6:3, 7:6(7:1); ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3, 6:4; ტომას ენქვისტი (შვედეთი) — ენდი როდიკი (14, აშშ) 6:3, 6:7(6:8), 7:6(7:5); ტიმ ჰენმანი (7, დიდი ბრიტანეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 7:6(7:4), 6:2**

ციურიხი (შვეიცარია)
SWISSCOM CHALLENGE
ჰარდი. საპრიზო 1,19 მილიონი $

აშკარად სომხური ძირის მარი გაიანე მიქაელიანმა გუშინწინ შვეიცარიის სახელით ჯენიფერ კაპრიატისთან თამაშის უფლება მოიპოვა, რაც ხუმრობა საქმე არ გახლავთ: ეს დღეებია, კაპრიატი მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელ ქალად აღიარეს.

მიქაელიანს მერვედფინალში პრობლემები არ ჰქონია, თუმცა მეტოქე რეიტინგით მეტად ჯაბნიდა, რუსი ტატიანა პანოვა 39-ეა ჩოგბურთის რანგთა ტაბელში, მიქაელიანს ჯერ მოწინავე ასეული არ ღირსებია. ამის მიუხედავად, მარიმ თუ გაიანემ პირველ სეტში დასცხო მეტოქეს და 4 გეიმი ზედიზედ მოიგო, სეტი კი 22 წუთში დაისაკუთრა. მეორე პარტიაში პანოვამ ხელი ოდნავ გამოიღო, მაგრამ 3:3-ზე ნასომხარმა კვლავ აიწყვიტა და საბოლოოდ — 6:1, 6:3.

ახლა მიქაელიანი კაპრიატისთან საბრძოლველად გეგმებს აწყობს. მისი აზრით, მთავარია, არ შეშინდეს.

„ჩემს საუკეთესო თამაშს ვუჩვენებ და იმედია, რამე გამოვა — განაცხადა მარი გაიანემ — თუ არ ვირწმუნე, რომ გამარჯვებას შევძლებ, არაფერი მეშველება და ამიტომ კორტზე სულ არ გავალ. თუ გავედი, ხალხი უეჭველად მხარს დამიჭერს".

ტურნირის მე-4 ნომერმა ელენა დოკიჩმა ორ სეტში გააგდო ამერიკელი ჩანდა რუბინი, მაგრამ თავის გამარჯვებას „ძნელი" უწოდა და დააფიქსირა, „კრემლის თასის" მერე არსად მითამაშია და მოგება ამიტომ გამიჭირდაო.

ივა მაიოლი კი აგებს და აგებს. ის 4 წლის წინ „როლან გაროსის" ჩემპიონი იყო.

**მერვედფინალი. მარი გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:1, 6:3; დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:1, 7:6(7:5); ელენა დოკიჩი (4, იუგოსლავია) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:4, 6:4; სანდრინ ტესტიუ (9, საფრანგეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 7:6(8:6), 6:4.**

**დავით გულუა**

# ვინ რას ჭამს



REUTERS ციურიხიდან

ციურიხში მიმდინარე დიდ საჩოგბურთო ტურნირზე ავსტრიელმა ბარბარა შეტმა სიმწრისგან ჩოგანი გაღრღნა, რახან მძიმე ბრძოლაში წააგო მეორე სეტი დანიელა ჰანტუჩოვასთან. შეტმა ჯამში 1:6, 6:7 დათმო. ამასობაში კი ოცდათოთხმეტი წლისა შესრულდა ნატალი ტოზია, რომელსაც ზედ კორტზე, იროდა ტულიაგანოვასთან თამაშის წინ მიართვეს სანთლებალიცლიცებული ტორტი. ასეა, ზოგი ტორტს შეჭამს, ზოგი — ჩოგანს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ მიფრინავს

სიდნეიში დიდი მონდომებით ემზადება გაავსტრალიელებული რუსი და ტომით კორეელი მოკრივე კოსტია ძიუ, სუპერმსუბუქი წონის მსოფლიო ჩემპიონობის ორი ქამრის მფლობელი. საფრენად ამ არეულ დროში, ძიუ ამერიკას მიფრინავს, რათა 4 ნოემბერს ლას ვეგასში შეხვდეს ფედერაციის (იბფ) ქამრის მფლობელ ზაბ ჯუდას. თუ ძიუ გაიმარჯვებს, პირველი ავსტრალიელი მოკრივე შეიქნება, სამ დიდ ტიტულს რომ გააერთიანებს.



REUTERS მადრიდიდან





REUTERS სიდნეიდან

# ხიდზე გადასული

მადრიდში მხატვრულად ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. ეს ბრაზილიელი გოგონა, ტრასენა ალვეში საქმის ცოდნით კი გადადის ხიდს, მაგრამ ამ საქმეში ბევრად უკეთესნი რუსები არიან და ლიდერობენ კიდეც ნაირგვარი სახეობების შეჯიბრში.

# ღია და დაფარული დარტყმები



REUTERS ოტავადან

მუშტი ჰოკეის შემადგენელია. მუშტის გარეშე ჰოკეი აღარ ითამაშება, მაგრამ ჰოკეის მუშტიც ორნაირია, ღია და დაფარული. მაგალითად, ოტაველი შეინ ჰნიდი პიტსბურგელ კევინ სტივენსს ღიად ურტყამს ყბაში. ნიუჯერსელმა ჯონ მედენმა კი წაქცეულ სანხოსელს, მარკ სმიტს დაფარულად ჩააყოლა კეფაში.



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტო-რეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge